# საქართველო

## რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№70 (9901) 2025 წლის 16 მაისი, პარასკევი


# უკრაინა ბოლომდე გაიწირა



# საქართველო დღესაც გადასარჩენია!

კვირის ციტატა

არავინ აცნობიერებს იმას, რომ უკრაინა გაიწირა, ჩვენი მეგობარი, ტრადიციული, ლამაზი ქვეყანა არაჩვეულებრივი ხალხით, აბსოლუტურად გაიწირა.

ტრაგიკული მდგომარეობაა უკრაინაში, ტერიტორიების 2,5-ჯერ მეტი არის დღეს ოკუპირებული რუსეთის ფედერაციის მიერ, ვიდრე ომის დაწყებამდე იყო. დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი ქვეყნიდან არის გასული, 19-24 წლის ახალგაზრდა მამაკაცების 70% და შეიძლება უკვე მეტიც, ან დაიღუპა, ან ქვეყნიდან არის გასული, გენოფონდი გაუნადგურეს, ინფრასტრუქტურა განადგურებულია, ეკონომიკა განადგურებულია, არის უბედურ მდგომარეობაში ეს ქვეყანა. ვინ იღებს ამაზე პასუხისმგებლობას? არის ევროპა, ამერიკა და თავი მოაქვთ, რომ არის ძლევამოსილი ძალა და ამ ძლევამოსილ ძალას არავითარი რესურსი არ გააჩნია, რომ ერთი ევროპული ქვეყანა დაიცვას.

თუ ვიღაცას მოუნდება, ამ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციაზეა საუბარი, ეს ქვეყანა შეიძლება გაიწიროს. ეს ხომ ტრაგიკული მოვლენაა. თუ არ შეეძლოთ დაცვა, ეს ხომ ტრაგედიაა და ამაზე უარესი ტრაგიკული მოვლენაა, თუ შეეძლოთ დაცვა და მაინც გაიწირა უკრაინა. სად არის აქ წესებზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგი? კარგი, ერთი ქვეყანა, დავუშვათ, ვერ დაიცავი, განა არ დაიცავი, ვერ დაიცავი, ამ ქვეყანაზე (საქართველოზე) მაინც იზრუნე, რომ აქ არ განმეორდეს იგივე. აქ რომ ცდილობ ხელოვნური პრობლემების შექმნას, სანქციების დაწესებას, ხალხისთვის სხვა პრობლემების შექმნას, ეს რა ლოგიკაში ჯდება საერთოდ?

აქ ხომ ჩანს, რომ მსოფლიოში არავითარ წესებზე დაფუძნებული წესრიგი აღარ არსებობს და მოშლილია ეს ყველაფერი. ამიტომ ჩვენ უნდა ვუსურვოთ ევროპას და ამერიკას „დიფ სთეითის“ დამარცხება თუ არა, დასუსტება მაინც, წინააღმდეგ შემთხვევაში, დარჩება ის მდგომარეობა, რაც არის დღეს, როდესაც მოშლილია წესებზე დაფუძნებული წესრიგი და, საბოლოო ჯამში, ყველაფერი იმართება არა კონკრეტული ქვეყნების ეროვნული ინტერესების შესაბამისად, არამედ ყველაფერი იმართება არაფორმალური მმართველობის წესით, რაც ტრაგიკულია.

**ირაკლი კობახიძე**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი.



# საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობები აუცილებლად გაუმჯობესდება!

**საქართველოს პარლამენტის საგანგებო განცხადება „მეგობარი აქტის“ შესახებ** ②

„2025 წლის 5 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ მიიღო ე.წ. მეგობარი აქტი (MEGOBARI Act), რომელიც, თავისი არსით, საქართველოს სახელმწიფოს, ქართველი ხალხისა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის მიმართ უაღრესად მტრული აქტია.

ე.წ. მეგობარი აქტი ეფუძნება სამ ძირითად ცრუ ბრალდებას:

ა) საქართველოში აღინიშნება დემოკრატიის მნიშვნელოვანი უკუსვლა;

ბ) საქართველოში აღინიშნება ხელისუფლების მიერ ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაბლოკვა;

გ) საქართველო ამყარებს არასათანადო კავშირებს „რუსეთთან, ჩინეთსა და სხვა ავტორიტარულ რეჟიმებთან“ (მოგვიანებით დააკონკრეტდა, რომ „სხვა ავტორიტარულ რეჟიმებში“ ირანი იგულისხმება).

ირაკლი გოგავა:

**ევროკავშირის დახმარება არის დიდი ბლეფი!** ④

ქართული გენი

**პანთეონისთვის „მთაწმინდელობის“ მიმნიჭებელი კაცის შთამომავალთა ნაკვალევზე** ⑤

რამაზ გახოკიძე

**სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი**



⑥

ნაპოლეონ ქარქაშაძე

**სოფლის მეურნეობის დიდი სპეციალისტი** ⑦




WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



### ქართველი ერის სურვილი

# საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობები აუცილებლად გაუმჯობესდება!

**(პირველი გვერდიდან)**

ე.წ. მეგობარი აქტი საგანგებო ანალიზს არ საჭიროებს, რადგან მასში ერთი შეხედვითაც იკითხება მტრული სულისკვეთება საქართველოს, ქართველი ხალხისა და ქვეყნის ხელისუფლების მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს აქტი ტექნიკურადაც კი გაუმართავია და არაერთ ფაქტობრივ შეცდომასა და ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს.

**თუმცა საქართველოს პარლამენტს მიზანშეწონილად მიაჩნია, ე.წ. მეგობარ აქტში წარმოდგენილ თითოეულ ცრუ ბრალდებას ფაქტებზე დაყრდნობით გასცეს პასუხი:**

1. საქართველოში „მნიშვნელოვანი დემოკრატიული უკუსვლის“ შესახებ ბრალდების მცდარობას უტყუარად ადასტურებს კონკრეტული ფაქტები და ის საერთაშორისო რეიტინგები, რომელთა თანახმად, საქართველომ 2012 წლის შემდეგ ყველა მიმართულებით ფუნდამენტური პროგრესი განიცადა; კერძოდ, ქვეყანაში 2012 წლის შემდეგ:

მიღებულ იქნა კონსტიტუცია, რომელიც სრულად შეესატყვისება უმაღლეს დემოკრატიულ სტანდარტებს და რომელმაც „დიფ სთეითის“ მიერ მართული სააკაშვილის რეჟიმის პროავტორიტარული კონსტიტუცია ჩაანაცვლა;

ორ-ნახევარჯერ შემცირდა ციხეებში პატიმართა რაოდენობა, ხოლო ათჯერ – მათი სიკვდილიანობა. აღიკვეთა ხელისუფლების მიერ პატიმრების წამებისა და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობის სისტემური პრაქტიკა, რომელიც „დიფ სთეითის“ მიერ მართული სააკაშვილის რეჟიმის ხელწერის ერთ-ერთი უმთავრესი შტრიხი იყო, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა და დაადასტურა;

აღიკვეთა ბიზნესის რეკეტის სისტემური პრაქტიკა, რომელსაც „დიფ სთეითის“ მიერ მართული სააკაშვილის რეჟიმი ავტორიტარული მმართველობის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად იყენებდა. აღსანიშნავია, რომ ფრეიზერის ინსტიტუტის ეკონომიკური თავისუფლების მსოფლიო ინდექსში საქართველოს 25-ე ადგილი უკავია;

ჩამოყალიბდა მრავალფეროვანი მედიაგარემო უმაღლესი ხარისხის პლურალიზმით. თუ 2012 წლამდე „დიფ სთეითის“ მიერ მართულ სააკაშვილის რეჟიმს მედიასივრცე, პრაქტიკულად, სრულად ჰქონდა მონოპოლიზებული, დღეს საქართველოს შეუძლია, მედიის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, აშშ-სა და ევროპის ქვეყნების უდიდეს უმრავლესობას მაგალითი მისცეს. საქართველოს პარლამენტი ყურადღებით უსმენს აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის განცხადებებს ამერიკულ მედიაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შესახებ და ხედავს, რომ მედიას ევროპის უმეტეს ქვეყნებშიც, პრინციპულად, „დიფ სთეითი“ აკონტროლებს და მართავს;

ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, რომელიც მანამდე სრულად ექვემდებარებოდა „დიფ სთეითის“ მიერ მართული სააკაშვილის რეჟიმის პოლიტიკურ კონტროლს. ოპონენტები ვერ ასახელებენ კონკრეტულ სასამართლო საქმეებს, რომლებიც 2012 წლის შემდეგ უსამართლოდ გადაწყდა. უცხოელი თანამდებობის პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) და ოპოზიციური პარტიების მიერ გაკრიტიკებული ყველა სასამართლო გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართლიანად აღიარა. მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსში საქართველო რეგიონის ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა და ევროკავშირის წევრ არაერთ სახელმწიფოს უსწრებს. „დემოკრატიის მრავალფეროვნების“ კვლევის თანახმად, ხელისუფლების ჩარევისგან მართლმსაჯულების თავისუფლების ინდექსში საქართველოს ევროპაში მე-9 ადგილი უკავია. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეტანილი საჩივრების რაოდენობა სამჯერ შემცირდა. ამის საპირისპიროდ, ამერიკის შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაციის პირობებში იყო შემთხვევა, როდესაც საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელმა ქართველ მოსამართლეს, საქართველოს კონსტიტუციის დარღვევით, ღიად მოსთხოვა კონკრეტულ საქმეზე ანგარიში, ხოლო შემდეგ მისთვის მიუღებელი გადაწყვეტილების გამო ამერიკაში ვიზიტი გაუუქმა. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ გადაწყვეტილების სამართლიანობაც აღიარა;

**საქართველოს ძლიერი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო ინსტიტუტები აქვს. კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით, იგი ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. მაგალითად, ღია ბიუჯეტის ინდექსში საქართველო მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა, კორუფციის არარსებობის ინდექსში კი მას მსოფლიოში – 29-ე, ხოლო ევროპაში მე-18 ადგილი უკავია;**

საქართველოში სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნები იმართება. მიუხედავად იმისა, რომ 2020 და 2024 წლებში „დიფ სთეითს“ საპარლამენტო არჩევნების დელეგიტიმაციის მასშტაბური კამპანია წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი, ორივე არჩევნები იმდენად სამართლიანი იყო, რომ არსებითი დარღვევის ფაქტები და მტკიცებულებები ვერავინ წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის არჩევნები ჩატარდა მსოფლიოში მოწინავე ამერიკული კომპანიის მიერ დამონტაჟებული ელექტრონული მთვლელებით, რომელთა აუდიტიც შემდგომ ასევე მსოფლიოში მოწინავე ამერიკულმა კომპანიამ განახორციელა და შედეგების უტყუარობაც დაადასტურა. ამის საპირისპიროდ, 2008 წელს სააკაშვილის რეჟიმმა ძალაუფლება არჩევნების ტოტალური გაყალბების შედეგად შეინარჩუნა, რასაც „დიფ სთეითმა“ „მწვანე შუქი აუნთო“;

სამოქალაქო თავისუფლების კუთხით არსებული 11-წლიანი პროგრესით საქართველოს მსოფლიოში მე-9 ადგილი უკავია. ქვეყანაში მშვიდობიანი შეკრების უფლება უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად არის უზრუნველყოფილი. 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ხელისუფლებამ კონსტიტუციური წყობილების დამხობის 5-დღიანი, უკიდურესად ძალადობრივი მცდელობა ისე აღკვეთა, რომ შეკრებების დაშლისას მათი არცერთი მონაწილის ჯანმრთელობას გრძელვადიანი კვალი არ დამჩნევია, მოძალადეთა ქმედების შედეგად კი ერთმა პოლიციელმა ცალ თვალში მხედველობა დაკარგა. 150 დღეზე მეტია, ადამიანთა ძალზე მცირერიცხოვანი ჯგუფი იკრიბება და ყოველდღიურად კეტავს თბილისის ცენტრალურ გამზირს, თუმცა ამ პროცესში სამართალდამცავი ორგანოები არ ერევიან. ისტორიულად, შეკრების ამგვარი თავისუფლების პრეცედენტი, სავარაუდოდ, არცერთ ქვეყანაში არ ყოფილა.

**საქართველოში დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრას „დიფ სთეითი“ და მისი ინსტიტუტები ცდილობდნენ. აღსანიშნავია, რომ 2023-2024 წლებში ქვეყანაში დემოკრატიაზე თავდასხმის მთავარი ხაზი უკავშირდებოდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, რომლებიც USAID-ის, NED-ისა და სხვა მსგავსი ფონდების დაფინანსების გამჭვირვალობასა და ლგბტ პროპაგანდის შეზღუდვას ითვალისწინებდა. ამასთანავე, 2020 წლიდან დღემდე „დიფ სთეითი“ ცდილობს, ხელისუფლებაში დააბრუნოს პოლიტიკური ძალა, რომელიც პრეზიდენტ ტრამპის უშვერი სიტყვებით ლანძღვით გამოირჩეოდა, რისი ვიდეომტკიცებულებებიც საჯარო წყაროებში მრავლად მოიპოვება.**

ყველა ეს ფაქტი უტყუარად ადასტურებს არა მხოლოდ საქართველოს მიერ 2012 წლის შემდეგ განცდილ ფუნდამენტურ დემოკრატიულ პროგრესს, არამედ იმასაც, რომ დღეს ის არის დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც მტკიცედ იცავს სამართლის უზენაესობას და ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს;

**2. საქართველოს „ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაბლოკვის“ შესახებ ბრალდების მცდარობას ასევე უტყუარად ადასტურებს კონკრეტული ფაქტები და მტკიცებულებები.**

2017 წელს სწორედ მოქმედმა ხელისუფლებამ შეიტანა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილება, რომლითაც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ქვეყნის ხელისუფლების ამოცანად განისაზღვრა, რასაც იმ დროს პარლამენტში წარმოდგენილმა არცერთმა ოპოზიციურმა პარტიამ მხარი არ დაუჭირა. საქართველო ყოველთვის გამოხატავდა სრულ მზადყოფნას ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის, თუმცა ამის საპასუხოდ პარტნიორებისგან თავშეკავებულ პოზიციას იღებდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე ხელოვნურ დაბრკოლებებს ხელისუფლება კი არ უქმნიდა, არამედ პარტნიორი ქვეყნები. ამგვარი დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველომ ევროინტეგრაციის გზაზე ყველა ხელშესახებ შედეგს სწორედ მოქმედი ხელისუფლების პირობებში მიაღწია.

კერძოდ, 2014 წელს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, ხოლო მოგვიანებით საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის რეჟიმი დაწესდა. 2022 წლის მარტშიც მოქმედმა ხელისუფლებამ შეიტანა განაცხადი საქართველოს ევროკავშირში გაწევრებაზე, თუმცა მას და ქართველ ხალხს იმავე წლის ივნისში სრულიად დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზე, რაც „დიფ სთეითის“ წარმომადგენლებმა, კერძოდ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), დემოკრატიის ეროვნული ფონდისა (NED) და სხვა მსგავსი ფონდების მიერ დაფინანსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა რევოლუციის მოწყობის მცდელობისთვის გამოიყენეს.

ევროპული ბიუროკრატიის უსამართლო მიდგომის მიუხედავად, საქართველომ თავისი ხელისუფლების წყალობით, ქართველი ხალხის თანადგომით 2023 წლის დეკემბერში მაინც მოიპოვა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი. თუმცა უსამართლო მიდგომა 2024 წლიდან ისევ განახლდა, კერძოდ, საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნის მიუხედავად, ევროპულმა ბიუროკრატიამ საქართველოს ევროინტეგრაციას ხელოვნური დაბრკოლება შეუქმნა იმით, რომ ქვეყნის ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს საქართველოს ევროკავშირში გაწევრების შესახებ მოლაპარაკებების გახსნაზე უარი უთხრა. საქართველო დღესაც ცდილობს, გაუმკლავდეს ამგვარ უსამართლო მიდგომას, რომელიც მას ევროინტეგრაციის გზაზე ერთადერთ ხელოვნურ ბარიერს უქმნის.

რაც შეეხება საქართველოს ნატოში გაწევრებას, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციასა და ნატოს უკრაინისა და საქართველოს ნატოში ინტეგრაცია საშუალოვადიან პერსპექტივაშიც არარეალურად მიაჩნიათ, ასეთ პირობებში კი საქართველოს ზედმეტი აქტიურობა აზრს მოკლებულია. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ „ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაბლოკვის“ შესახებ ბრალდება უსაფუძვლოა;

**ქვეყნისადმი უხეშ, უსამართლო დამოკიდებულებასა და ორმაგ სტანდარტს შეიძლება ერთადერთი რამ განაპირობებდეს — „დიფ სთეითმა“ საქართველოს ვერ აპატია ის, რომ მისმა ხელისუფლებამ არ შეასრულა „დიფ სთეითის“ წარმომადგენლის მიერ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან გამართულ შეხვედრებზე დაყენებული მოთხოვნა „მეორე ფრონტის გახსნის“ თაობაზე.**

პარლამენტის სადაგი დღეები




**3. ასევე სიცრუეს ეფუძნება ბრალდება საქართველოს მიერ რუსეთთან, ჩინეთსა და ირანთან არასათანადო კავშირების დამყარების შესახებ:**

იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთის ფედერაციის მიერ არის ოკუპირებული, საქართველოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნების უდიდესი უმრავლესობისგან განსხვავებით, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობებიც კი არ აქვს. 2012 წლის შემდეგ რუსეთში არცერთი ქართველი პოლიტიკოსის ვიზიტი არ შემდგარა. საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში რუსეთთან ვაჭრობის წილი 12 პროცენტზე ნაკლებია. აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის საერთო შემფასებელმა მისიამ დაადგინა, რომ საქართველო არ უშვებს თავისი ტერიტორიის რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლისთვის გამოყენებას, რაც ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების წინა ადმინისტრაციის დროს სენატს მოახსენა სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯეიმს ო'ბრაიენმა. 2022 წლის თებერვლის შემდეგ საქართველო შეუერთდა 600-ზე მეტ საერთაშორისო აქტს, რომლებიც გამოხატავდა მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და გმობდა რუსეთის სამხედრო აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ. რუსეთის ფედერაციასთან საქართველოზე ბევრად მჭიდრო ურთიერთობები აქვს საქართველოს ყველა მეზობელ ქვეყანას, აგრეთვე მოლდოვას, რომელიც დსთ-ის წევრად რჩება და რომლის პოლიტიკოსები რუსეთში ვიზიტებსაც არ ერიდებიან. ლიეტუვა და ლატვია კი რუსეთში იმაზე რამდენჯერმე მეტ ღვინოს ყიდიან, ვიდრე საქართველო, რომელიც ღვინის მწარმოებელი ქვეყანაა. ყველა ეს ფაქტი მოწმობს სიცრუესა და ორმაგ სტანდარტს, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ არის მიმართული;

საქართველოსა და ჩინეთს იმ დონის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები აქვთ, როგორიც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის არსებობს. საქართველოს პარლამენტი ყურადღებით აკვირდება პრეზიდენტ ტრამპის ოპტიმისტურ განცხადებებს ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ. ამ ფონზე სრულიად გაუგებარია აშშ-ის საყვედური საქართველოს მიმართ ჩინეთთან ურთიერთობებთან დაკავშირებით;

იგივე ითქმის საქართველოსა და ირანის ურთიერთობებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, იმ დონისაც კი არ არის, როგორიც ირანს რეგიონის სხვა ქვეყნებთან აქვს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ირანთან დაკავშირებით სპეკულაციების საბაბად იქცა საქართველოს პრემიერ-მინისტრის დასწრება ირანის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, რომელშიც რეგიონის ყველა სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ინაუგურაციას ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის მქონე სახელმწიფოებისა და ევროკავშირის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, თუმცა, სამწუხაროდ, სპეკულაციების სამიზნე მხოლოდ საქართველო გახდა, რაც კვლავ უსამართლობასა და ორმაგ სტანდარტზე მიანიშნებს.

**ყველა ეს სიცრუე და უსამართლობა ადასტურებს, რომ ე.წ. „მეგობარი აქტი" საქართველოსადმი „დიფ სთეითის" უხეში, მტრული დამოკიდებულებით არის ნაკარნახევი. ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი, იმის ნაცვლად, რომ „დიფ სთეითისგან" დამოუკიდებლად მოქმედებდეს და აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას წინა ადმინისტრაციის მიერ დაწესებული უსამართლო სანქციების გაუქმებას სთხოვდეს, პირიქით, მისგან ახალი სანქციების დაწესებასაც კი მოითხოვს.**

საბედნიეროდ, ამგვარ აბსურდულ გადაწყვეტილებებზე ქართველ ხალხს ადეკვატური რეაქცია აქვს. უკვე დიდი ხანია, ქართული საზოგადოება სრულიად არასერიოზულად აღიქვამს ევროპარლამენტს, რომელმაც 2022 წლიდან ქვეყნის წინააღმდეგ 6 მტრული რეზოლუცია დაამტკიცა. სამწუხაროდ, ასეთივე რეპუტაციულ ზიანს აყენებს საკუთარ თავს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი. დასანანია, რომ კონგრესმა, რომელსაც ამერიკელმა დამფუძნებელმა მამებმა – ჯორჯ ვაშინგტონმა, ტომას ჯეფერსონმა, ბენჯამინ ფრანკლინმა, ჯეიმზ მადისონმა და სხვებმა – ჩაუყარეს საფუძველი და რომელიც ერთ დროს დემოკრატიის ციტადელად იყო ცნობილი, 2025 წლის 5 მაისს საკუთარი იმიჯი და რეპუტაცია ქართული საზოგადოების თვალში მძიმედ შელახა.

საქართველოს პარლამენტის შეფასებით, ქვეყნისადმი უხეშ, უსამართლო დამოკიდებულებასა და ორმაგ სტანდარტს შეიძლება ერთადერთი რამ განაპირობებდეს – „დიფ სთეითმა" საქართველოს ვერ აპატია ის, რომ მისმა ხელისუფლებამ არ შეასრულა „დიფ სთეითის" წარმომადგენლის მიერ ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან გამართულ შეხვედრებზე დაყენებული მოთხოვნა „მეორე ფრონტის გახსნის" თაობაზე.

**საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს იმედს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია „დიფ სთეითს" წარმატებით შეასუსტებს, რის შედეგადაც აშშ-ის კონგრესი დაიბრუნებს ძველ დიდებასა და სახელს, რომელიც მას 200-წლიანი მოღვაწეობით ჰქონდა მოპოვებული.**

**საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს მზადყოფნას, ითანამშრომლოს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესთან ყველა საკითხზე, რომლებმაც შეიძლება, საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობების გაჯანსაღება უზრუნველყოს"!**

# მხოლოდ მთავარზე!

## ირაკლი კობახიძე მთავრობის წევრებთან ერთად პარლამენტის თავმჯდომარის წლიური ანგარიშის წარდგენას დაესწრო

**საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე შალვა პაპუაშვილმა მეათე მოწვევის პარლამენტის საქმიანობა შეაჯამა და აღნიშნა, რომ განვლილი ოთხი წელი აღსავსე იყო გამოწვევებით, თუმცა, ქართველი ხალხის ნდობით, ხელისუფლებამ ეროვნული ინტერესები უმთავრეს პრიორიტეტად აქცია.**

**როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ქვეყნის გამთლიანება და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა არის ორი უმთავრესი ეროვნული ამოცანა და მეთერთმეტე მოწვევის პარლამენტი სწორედ ამ ეროვნული ინტერესების სამსახურშია.**



### შალვა პაპუაშვილი:

## მეათე მოწვევის პარლამენტი იქცა შემობრუნების წერტილად უახლეს ქართულ ისტორიაში!

**მეათე მოწვევის პარლამენტი მართლაც იქცა შემობრუნების წერტილად უახლეს ქართულ ისტორიაში, ის სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ეროვნული ინტერესების დაცვის მტკიცე, გაბედულ კრებულს წარმოადგენდა,** – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** მე-10 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის ანგარიშის წარდგენის დროს.

როგორც სიტყვით გამოსვლის დროს პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, მეათე მოწვევის პარლამენტს ბევრის გადატანა მოუხდა. მისი თქმით, ყველაზე მეტად სწორედ ასეთ რთულ დროს გამოჩნდება ქართველი ხალხის ერთგულება, სიბრძნე და ნდობა.

**„თუმცა, დღეს მსურს, წარმოგიდგინოთ არა მხოლოდ გასული წლის, არამედ მთლიანად მეათე მოწვევის პარლამენტის ანგარიში და აქცენტი გავაკეთო იმ პოლიტიკურ ფაქტორებსა და ქარტეხილებზე, რომელთან გამკლავებაც მოგვიხდა ყველას ერთად. მეათე მოწვევის პარლამენტი მართლაც იქცა შემობრუნების წერტილად უახლეს ქართულ ისტორიაში, რადგანაც ის სუვერენიტეტის განმტკიცების და ეროვნული ინტერესების დაცვის მტკიცე და გაბედულ კრებულს წარმოადგენდა. ამ კრებულის თითოეული, ყოფილი თუ მოქმედი წევრი უნდა ამაყობდეს საქართველოს დაცვასა და წინსვლაში შეტანილი წვლილით.**

**მეათე მოწვევის პარლამენტის მიერ განვლილი ოთხი წელი აღსავსე იყო წინააღმდეგობებით, უცხო გავლენებითა და შიდა საქმეებში ჩარევით, დესტრუქციული ჯგუფების მიერ სახელმწიფოს საფუძვლების რყევით, ინტერესჯგუფების მიერ პოლიტიკური ფრონტის გახსნით, ღალატით, დივერსიით და მტრისა თუ მოყვრის მიერ დაგებული ხაფანგებით. თუმცა ყველაზე მეტად სწორედ ამ რთულ დროს გამოჩნდა ქართველი ხალხის ერთგულება, სიბრძნე და ნდობა. ამიტომაც იქცა განვლილი პერიოდი შემობრუნების წერტილად.**

**რაიმე თუკი გასდევდა წითელ ხაზად წინა მოწვევის პარლამენტის საქმიანობას, ეს იყო ქვეყნის განვითარების ჩარხის უკუღმა დატრიალების, არეულობის დათესვის და რევოლუციების მცდელობების კასკადი, რომლითაც ჩვენი საზოგადოების დაზიანება განიზრახეს, თუმცა შედეგად უფრო გამოწრთობილი, თავდაჯერებული და დაბრძენებული საზოგადოება მიიღეს. იმისთვის, რომ გავიაზროთ, თუ როგორ შევძელით ეს, უნდა გავიხსენოთ, თუ რა გამოვიარეთ ჩვენს საზოგადოებასთან ერთად",** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

## 2020 წლის არჩევნების ყალბი შედეგების გავრცელებაში, ISFED-თან ერთად USAID-იც იყო ჩართული!

**„თქვენ გახსოვთ ორი ვადის ამოწურვის შესახებ კამპანია, უცხო ქვეყნების ელჩების დემოკრატიის გაკვეთილები კოალიციური მმართველობის სიკეთეებზე და მსგავსი მინიშნებები. 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ" დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, რომელსაც „ნაცმოძრაობის" ირგვლივ კონსოლიდირებულმა ოპოზიციამ ტრადიციულად გაყალბებული უწოდა. ჩვენ ვიხილეთ რამდენიმეკვირიანი კამპანია, დემონსტრაციები და ცესკო-სთან გამართული პროტესტი, რომელიც „ენჯეო" „სამართლიანი არჩევნების" გაყალბებულ პარალელური დათვლის შედეგს ეფუძნებოდა.**

**მეათე მოწვევის პარლამენტი 2020 წლის 11 დეკემბერს შეიკრიბა და დააანონსა, რომ შექმნიდა საგამოძიებო კომისიას, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, პარალელური დათვლის შედეგების გაყალბების საკითხსაც შეისწავლიდა. იმავე დღეს საპარლამენტო გამოძიებით შეშინებულ „სამართლიან არჩევნებს" საკუთარი ტყუილის საჯაროდ აღიარება მოუწია. მოგვიანებით კი სხვა აღიარებაც მოვისმინეთ, რომ ყალბი შედეგების გავრცელებაში „სამართლიანი არჩევნების" დონორი, აშშ-ის განვითარების სააგენტოც (USAID) იყო ჩართული.**

**ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართულმა საზოგადოებამ ამხილა ის, რაც, ოთხი წლის შემდეგ აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ გამოააშკარავა. კერძოდ, ის, რომ USAID-ი გამოიყენებოდა ხელისუფლებების დესტაბილიზაციისა და სახალხო დემოკრატიის გარედან მართული დემოკრატიით ჩანაცვლებისთვის"...**

იხ. 9 გვ.



# ევროკავშირის დახმარება არის დიდი ბლეფი!



„დემოკრატიის უკუსვლის შედეგად, ქვეყანამ 2022, 2023 და 2024 წლებში, ევროკავშირის დახმარება – 121 მილიონი ევროს ოდენობით, დაკარგა. ეს ინფორმაცია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის საიტზე მოვიპოვე. ბუნებრივია, დავინტერესდი, კონკრეტულად რა პროექტებში, რომელ დარგში და რა მიზნით იხარჯება ევროკავშირის დახმარება, რომელსაც საქართველო ყოველწლიურად, საშუალოდ, 80-85 მილიონი ევროს ოდენობით იღებს. ინფორმაცია საკმაოდ ვრცელია და სფეროების მიხედვითაა დაყოფილი. შესაბამისად, ზუსტად ვიცით, რომ ეს დახმარება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, სავაჭრო ურთიერთობებს, ენერგოსექტორს, გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილებებს, მდგრად განვითარებას, მწვანე ეკონომიკას უნდა მოხმარდეს, მაგრამ, თუ დეტალური ინფორმაციის მოძიებას შეეცდებით, დროს ტყუილად დაკარგავთ: „ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ექსპერტული ცოდნით, რათა გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებს მიუახლოვდეს და ასევე პირდაპირ ეხმარება ბუნებრივი პარკების განვითარებაში, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებაში, უფრო ეკოლოგიური ზრდის შესაძლებლობების განვითარებაში, ნარჩენების მართვისა და წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში და ეკოლოგიური რისკებისა და ზემოქმედების უკეთესი მართვის მექანიზმების შექმნაში. ევროკავშირი აფინანსებს უამრავ ინფრასტრუქტურულ პროექტს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის, ნარჩენების მართვისა და ეკოლოგიური ტრანსპორტის სექტორებში“, – ესაა უმცირესი ამონარიდი იმ ინფორმაციიდან, რომელიც ევროკავშირის საქართველოში წარმომადგენლობის საიტზეა განთავსებული.

კითხვაზე, კონკრეტულად რაში იხარჯება ევროკავშირის დახმარება საქართველოში, პასუხი გრძელ სადღეგრძელოს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურ დახმარებას. სამაგიეროდ, ევროპელი ბიუროკრატები საქართველოს ხელისუფლებას დემოკრატიულ განვითარებას უწუნებენ და დახმარების შეწყვეტით აშანტაჟებენ. რეალურად, რა მიზნებს ხმარდება ევროპული დახმარება ქვეყნის შიგნით? არის თუ არა ეს ეკონომიკური დივერსია და რა გამოსავალი არსებობს? For.ge-ს ამ თემაზე ესაუბრება პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი გოგავა.

## ირაკლი გოგავა:

## დღევანდელ ანტიკოლონიურ აჯანყებას მხოლოდ პოლიტიკური მიზეზები არა აქვს, რომ ომში ჩართვას გვთხოვდნენ, პროტესტი, პირველ რიგში, ეკონომიკური კოლონიალიზმის წინააღმდეგ გვაქვს!



**– ბატონო ირაკლი, ევროკავშირის საქართველოში წარმომადგენლობის საიტზე დეტალურ ინფორმაციას, რა პროექტებს ხმარდება ევროკავშირის დახმარებები, ამაოდ ვეძებდი. აგვიხსენით, რაში იხარჯება ევროკავშირის დახმარება, რომელ პროექტებში?**

– ზოგადად, არსებობს ერთი აქსიომა – უანგარო ფული არ არსებობს. არც ერთი სახელმწიფო, არც ერთი ორგანიზაცია არ იძლევა არაფერს, თუ მას არ აქვს საკუთარი ინტერესი და ეს ეხება ეგრეთ წოდებულ დახმარებებს, რასაც ევროკავშირი გამოყოფდა წლების განმავლობაში. ევროკავშირის გარდა, შეერთებული შტატები და ცალკე სხვა სახელმწიფოებიც გამოყოფდნენ დახმარებას, მათ შორის, იაპონია და ტაივანიც კი. ევროკავშირიდან დახმარების სახით, 100-121-122 მილიონი ევრო მოდიოდა, ამას ემატებოდა ნორვეგიის, ჰოლანდიისა და გერმანიის დახმარებები, ჯამში, დაახლოებით, 300 მილიონი იხარჯებოდა უცხოეთიდან საქართველოში.

**– რას ხმარდებოდა ეს ფული საქართველოში?**

– რა თქმა უნდა, მიზნებიც გაცხადებული ჰქონდათ: ნათელი მომავალი, დემოკრატიის განვითარება, სიტყვის თავისუფლება, ეკონომიკური წინსვლა. თუმცა, რეალურად, ამ ფულის დიდი ნაწილი იხარჯებოდა დასავლეთის მეხუთე კოლონის შენახვაზე. ჩვენ ვიცით, რომ 600-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია (ენჯეო) იღებდა უცხოურ გრანტებს, გარდა ამისა, აფინანსებდნენ მედიას – ლგბტ პროპაგანდას ტელევიზიებში, ასევე გამომცემლობებს – ულტრალიბერალური ფასეულობების პროპაგანდისთვის...

**– უკაცრავად, მაგრამ ეს ყველაფერი არ წერია ევროკავშირის საქართველოში წარმომადგენლობის საიტზე.**

– რა თქმა უნდა, არ წერია, მაგრამ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ კაპიტალისტური წყობილება, თუ ის არ კონტროლდება და არ რეგულირდება, ტყუილზეა აგებული. ზოგადად, ევროკავშირის მიდგომა საქართველოს მიმართ, მეზობელი ქვეყნების მიმართ, ტყუილზეა აგებული. ევროკავშირი შეიქმნა იმისთვის, რომ დასავლეთ ევროპის სიმდიდრე შენარჩუნდეს, ოღონდ ვიღაცის ხარჯზე, ანუ ვიღაც უნდა გაღარიბდეს. ეს გასაღარიბებელი ობიექტები გახლავთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სამეზობლო ქვეყნები, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის, საქართველო.

მათი ამოცანა რა არის და რატომ აფინანსებენ მეხუთე კოლონას, საკუთარ ენჯეოებს, ლიბერალურ მედიას, საგამომცემლო სახლებს... იცით, რომ 1400-ზე მეტი ჟურნალისტი იღებდა, თურმე, გრანტებს საქართველოში, წლების განმავლობაში? ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოში, ყოველი მეოთხე ჟურნალისტი, რომელიც უცხოურ გრანტს იღებდა, ქართველი ყოფილა და ეს განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ. მიზანი, რისთვისაც აფინანსებდნენ, არის ის, რომ საქართველო იყოს იმ პოლიტიკის კალაპოტში, რომელიც მათ აწყობთ. ეს არის საქართველოსგან ანტირუსეთის შექმნა, რათა მუდმივად გამაღიზიანებელი ფაქტორი ვიყოთ რუსეთისთვის და საჭირო მომენტში ვიომოთ რუსეთთან, როგორც 2008 წელს გვაომეს. ჩვენ ხომ ახლაც გვთხოვდნენ, როდესაც უკრაინის ომი დაიწყო, რომ მეორე ფრონტი გაგვეხსნა?! ზოგადად, უნდა ვიყოთ დასავლეთის მორჩილები საერთაშორისო პოლიტიკაში, მათ გამოტანილ რეზოლუციებს საერთაშორისო ფორუმებში მხარი დავუჭიროთ, ჯარი გავგზავნოთ ავღანეთში, აფრიკაში, ერაყში...

გარდა ამისა, არის ეკონომიკური განზომილებაც. რა არის კაპიტალისტის ინტერესი ეკონომიკაში – ევროკავშირი სუპერმდიდრების შექმნილი ორგანიზაციაა, ოლიგარქიული, დინასტიური ოჯახების და მათი ინტერესი, რა თქმა უნდა, ძალაუფლებასთან და პოლიტიკასთან ერთად, მეტი ფულის შოვნაა. 400 000 ქართველი მუშაობს მესამედ ფასში ევროკავშირში და ქმნის მათ ეკონომიკას. ითვლება, რომ ერთი ადამიანი, სიცოცხლის განმავლობაში, ქმნის მილიონი დოლარის ეკონომიკას, ანუ ეს 400 000 ქართველი, მეტი რომც არ წავიდეს არავინ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, შეუქმნის 400 მილიარდი დოლარის ეკონომიკას და ეს ხომ ჩვენ გვაკლდება, რადგან შრომითი რესურსი არის ყველაზე ძვირფასი, რაც სახელმწიფოს გააჩნია.

ჩვენგან მიაქვთ ბუნებრივი რესურსები ჯართის სახით, ასევე მეტალი, ფერადი ლითონები, სპილენძის კონცენტრატი, გააქვთ ხე-ტყე და მარგანეცი. წლების განმავლობაში, უამრავი ანტიკვარიატი გაიტანეს: ხალიჩები, ძვირფასი ავეჯი, ფერწერული ტილოები. ქართულ ოჯახებში უზარმაზარი სიმდიდრე იყო, მაგრამ 90-იან წლებში, ხალხმა ეს სიმდიდრე გამოიყენა გადასასარჩენად.

**ვიცით, რომ ქართული ბანკების 90% უცხოური კაპიტალით შეიქმნა, რომლებიც ზემოგებებზე მუშაობენ. მაგალითად, საქართველოში ბანკების მოგება 23%-ია, არადა, ევროპაში 7-8%-ის ფარგლებში მერყეობს. სამჯერ მეტ მოგებას შოულობენ ქართველი ხალხის ხარჯზე, იმ მაღალი პროცენტების საშუალებით, რასაც ჩვენ გვახდევინებენ.**

**ევროკავშირის დახმარებებს რომ დავუბრუნდეთ, ვიცით, რომ 600-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ფინანსდება უცხოური გრანტებით, ჯამში, დაახლოებით, 20 000 ადამიანი იღებს უცხოურ ხელფასს და თუ საპროტესტო აქციების პიკს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ დაახლოებით, ამდენი ადამიანი მონაწილეობს ხოლმე ეგრეთ წოდებულ მასშტაბურ აქციებში. ამიტომ, არანაირი დახმარება ეს არ არის, ეს არის საქართველოს დაკაბალების, საქართველოში კოლონიური ადმინისტრაციის დამყარების ტექნოლოგია.**



აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ვალის ორმოში ჩაგვაგდეს – კაბალური პროცენტებით მოგვცეს სახელმწიფო ვალი და ამ მხრივ, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი – „იბიარდი", ცალკეული სახელმწიფოები ლიდერობენ. სახელმწიფო ვალებს პოლიტიკური მოთხოვნებით გვაძლევენ და ეს მოთხოვნებია, ჩატარდეს გეი-აღლუმები, მივიღოთ ულტრალიბერალური დღის წესრიგი და ასე შემდეგ. ამ ვალების მომსახურება წელიწადში (სხვადასხვა წელს, სხვადასხვა პროცენტი უწევს), 400-დან 700 მილიონამდეა. თანაც, ამ ვალს გვაძლევენ არა იმაში, რომ საწარმო განვითარდეს, ან ფაბრიკა აშენდეს, გვაძლევენ ინფრასტრუქტურისთვის, რომელიც პირდაპირ შემოსავალს არ იძლევა.

ეს გახლავთ, ეგრეთ წოდებული, ვაშინგტონის კონსენსუსის კოლონიალური მოდელი, რომელშიც ჩაგვსვეს 90-იან წლებში და დღემდე ეკონომიკური კოლონია ვართ. კოლონიას კი კოლონიური ადმინისტრაცია სჭირდება. მაგალითად, როდესაც სააკაშვილი მოიყვანეს ხელისუფლებაში, ეს იყო ქვეყნის კლასიკური, გარე მართვაზე გადასვლა, რადგან სააკაშვილი არაფერს არ მართავდა, მხოლოდ ძარცვავდა ქართველ ხალხს და ბიზნესს, რეალურად უცხოელები მართავდნენ. შემდეგაც, „ოცნების" პირობებშიც გაგრძელდა ასე, მაგრამ 2019 წლიდან, ანტიკოლონიური მოძრაობა დაიწყო საქართველოში. ამის გარდამტეხ ეტაპად კი შარლ მიშელის შეთანხმებაზე უარის განცხადება მიმაჩნია.

**90-იან წლებში, არ ვიცოდით, როგორ მუშაობდა საერთაშორისო სისტემა, მაგრამ ახლა უკვე შევისწავლეთ, სიღრმისეულად შევაფასეთ და ამაში დარჩენას არ ვაპირებთ. ამიტომ დღეს რაც ხდება, ეს არის ანტიკოლონიური აჯანყება. ამას მხოლოდ პოლიტიკური მიზეზები არა აქვს, რომ ომში ჩართვას გვთხოვდნენ. რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანი მოტივატორია, მაგრამ პრობლემა, პროტესტი და აგრესია, პირველ რიგში, ეკონომიკური კოლონიალიზმის წინააღმდეგ გვაქვს. ეს უნდა დავასრულოთ, რადგან საერთაშორისო ფუნქცია არ მოგვანიჭეს და რეალურად, არც ერთი დარგის განვითარებაში არ გვეხმარებიან.**



**ევროკავშირი შეიქმნა იმისთვის, რომ დასავლეთ ევროპის სიმდიდრე შეინარჩუნდეს, ოღონდ ვიღაცის ხარჯზე, ანუ ვიღაც უნდა გაღარიბდეს. ეს გასაღარიბებელი ობიექტები გახლავთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სამეზობლო ქვეყნები, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, მათ შორის, საქართველო.**



**1400-ზე მეტი ჟურნალისტი ილებდა, თურმე, გრანტებს საქართველოში, წლების განმავლობაში? ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოში, ყოველი მეოთხე ჟურნალისტი, რომელიც უცხოურ გრანტს ილებდა, ქართველი ყოფილა და ეს განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.**

ევროკავშირის დახმარებებს რომ დავუბრუნდეთ, ვიცით, რომ 600-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია ფინანსდება უცხოური გრანტებით, ჯამში, დაახლოებით, 20 000 ადამიანი იღებს უცხოურ ხელფასს და თუ საპროტესტო აქციების პიკს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ დაახლოებით, ამდენი ადამიანი მონაწილეობს ხოლმე ეგრეთ წოდებულ მასშტაბურ აქციებში. ამიტომ არანაირი დახმარება ეს არ არის, ეს არის საქართველოს დაკაბალების, საქართველოში კოლონიური ადმინისტრაციის დამყარების ტექნოლოგია.

**– თქვენი შეფასებიდან ჩანს, რომ ევროკავშირის დახმარება არის ბლეფი და არ ხმარდება იმ რეალურ მიზნებს, რაც აღწერილია მათსავე საიტზე. გამოდის, დახმარება ფასადურია და ამიტომაც ვაწყდებით ამდენ პრობლემას, თუნდაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისას? შორს რომ არ წავიდეთ, ბოლოდროინდელ რძის სკანდალს გაგახსენებთ, რომელსაც, ჩემი აზრით, პოლიტიკური სარჩული უფრო ჰქონდა, ვიდრე ეკონომიკური. დამეთანხმებით, „სკინტლიანი რძე" მარკეტინგულად კარგად „იყიდება" და შედეგიც ვნახეთ: „პროტესტანტებმა" პროტესტი გამოუცხადეს ქართულ პროდუქციას, რაც დიდი მავნებლობა მგონია. უკაცრავად, კითხვა გამიგრძელდა, ბატონო ირაკლი, მაგრამ გამოდის, რომ ევროკავშირის დახმარება სოფლის მეურნეობაში და ხმაურიანი პროექტები მხოლოდ პიარზეა გათვლილი?**

– ეს არის აბსოლუტური ფასადი და დახმარების იმიტაცია, არანაირ რეალურ დახმარებას ისინი არ გვიწევენ, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. ეს იმიტომ, რომ ევროკავშირის ბიუჯეტის 60%-ზე მეტი არის დოტაციები სოფლის მეურნეობაში. მაგალითად, ეს დოტაციები რომ შეწყდეს, საფრანგეთში მერძევეობა და მესაქონლეობა დაიღუპება, რადგან პირდაპირ სუბსიდირდება. მათ არ აწყობთ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინება, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს, 1990 წელს, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კვების მრეწველობის სექტორი ჰქონდა. 400-ზე მეტი ქარხანა მუშაობდა კვების მრეწველობაში და სხვადასხვა დარგებით, 24-დან 40 მილიარდამდე აშშ დოლარის პროდუქციას უშვებდა ქართული კვების მრეწველობა. 1988 წლის სტატისტიკა მაქვს ნანახი და 970 მილიონ ქილა კონსერვს უშვებდა ქართული კვების მრეწველობა. ერთადერთი ობიექტი, რომელიც ევროკავშირის მიერ იყო გაკეთებული და ვნახე, სართიჭალაში, საღორე იყო, რომელშიც 5 მილიონი ევრო დახარჯეს და რომელიც დღემდე არ მუშაობს. ეს არის მათი დახმარება.

მეორე პროექტია მეფუტკრეობა. საქართველოში არის რეგიონები, სადაც მეტი თაფლი მოდის, მაგალითად, სამეგრელო, იმერეთი, მთიანი რეგიონები... ერთადერთი რეგიონი, სადაც ფუტკრის საკვები ბაზა არ არის, გორისა და კასპის რაიონია. თაფლის გადამმუშავებელი საწარმო დააფინანსეს იმ რეგიონში, სადაც თაფლი არ არის – გორში. გამოდის, რომ სამეგრელოს მეფუტკრეებმა თაფლი გორში უნდა ჩაიტანონ გადასამუშავებლად, ეს ხომ აბსურდია! სპეციალურად გაკეთდა იმისთვის, რომ ეს დარგი არ განვითარდეს და ეს არის საბოტაჟი.

გარდა ამისა, რამდენიმე ათეული მაცივარი გააკეთეს, „დაგვეხმარნენ" ამაში. ეს მაცივრები მცირე ზომისაა – 100 და 80-ტონიანია. დამწყებ ეკონომისტს, ან ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ ეს წამგებიანი მეურნეობაა. თანაც, არასწორი ვენტილაციით დააპროექტეს და 100-ტონიანი მაცივარი გინდ, გქონია და გინდ – არა. ამ დროს, აზერბაიჯანში სამაცივრე მეურნეობა გააკეთეს 10 000 ტონაზე, თურქეთში – 4-5 და 8 000-ტონიანი მაცივრები და სასაწყობე მეურნეობებია. ეს არის სწორი განვითარების გზა.

მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ჩვენ არ განვვითარდეთ და ამიტომ, არანაირი დახმარება ეს არ არის. ეს დახმარება ერთგვარი ტროას ცხენივითაა, ეკონომიკური დივერსიებისთვის და ჩემი აზრით, სახელმწიფო უსაფრთხოების ჩარევა სჭირდება. მეტიც, საერთოდ, უარი უნდა ვთქვათ ამ ტიპის დახმარებებზე, რადგან უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია.

**– ბატონო ირაკლი, სუბსიდია აღნიშნეთ და აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ 2012 წლის შემდეგ, პირველი, რაც გააკეთა ხელისუფლებამ, ეს იყო მევენახეების, მეციტრუსეების და მეხილეების სუბსიდირება. თუმცა, ისიც კარგად მახსოვს, ცალკეული ექსპერტები, გნებავთ, მოექსპერტო ტიპში როგორ აცხადებდნენ, რომ სახელმწიფო სუბსიდირება უნდა შეწყდეს, რომ გლეხების დახმარება, სინამდვილეში, სახელმწიფოს ჩარევაა ბიზნესში, არადა, თურმე, ევროკავშირის ბიუჯეტის 60%-ზე მეტი სუბსიდიაზე იხარჯება.**

– დიახ, ეს არის ორმაგი სტანდარტი, ეკონომიკური დივერსია და საბოტაჟი! თუ ვინმე დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე გიწყებთ საუბარს, ჯიბეზე დაიხედეთ, რას გპარავენ, ამიტომ მთავარია, რას აწარმოებ და რას ჰყიდი, ანუ წარმოება და ვაჭრობა, მათ შორის, უმთავრესია რეალური სექტორი. რეალური სექტორი არის სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მშენებლობა, ასევე ენერგეტიკა.

სოფლის მეურნეობა, სუბსიდირების გარეშე, მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს. ჩვენთან სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს კვების მრეწველობასთან ერთად. მაგალითად, მე რომ მკითხოს კაცმა, აუცილებლად შევქმნიდი სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, იმიტომ რომ გადამუშავების გარეშე, პირველადი აგრონედლეულის წარმოება წამგებიანია, ან ძალიან დაბალი პროცენტი აქვს. ამასთან, აუცილებელია სახელმწიფო აგრობანკის შექმნა, რომლითაც გრძელვადიან კრედიტს მივცემთ ფერმერებს მექანიზაციისთვის.

საქართველო მცირემიწიანია, თან ძალიან დანაწევრებულია, საშუალოდ, ერთი ოჯახი ფლობს 1-1.5 ჰექტარ მიწის ნაკვეთს. ასეთ პირობებში, რენტაბელობის დაჭერა რთულია. საქართველოში რომ ინდუსტრიული ფერმა გქონდეს, მინიმუმ, 30 ჰექტარი გჭირდება. აქედან გამომდინარე, კონკურენტული რომ იყო, ცოტა სხვაგვარი პროდუქტი უნდა შექმნა – ბიოლოგიურად სუფთა, ორგანული პროდუქტი, რომელიც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადია, დეფიციტურიცაა და უფრო ძვირადაც ფასობს. უარი უნდა ვთქვათ პესტიციდებზე, შხამქიმიკატებზე და უნდა გადავიდეთ ბიოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე.

**– ბატონო ირაკლი, ამ ვითარებას თავი როგორ დავაღწიოთ, ანუ ევრობიუროკრატების შანტაჟის პირობებში, რა გამოსავალი არსებობს?**

– პირველ რიგში, უარი უნდა ვთქვათ მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე! სწორედ ეს ორი ორგანიზაცია გახლავთ ვაშინგტონის კონსენსუსის კოლონიური მოდელის ზედამხედველი და იმპლიმენტატორი. მათი ვალი უნდა გავისტუმროთ, ახალი ვალი მათგან აღარ უნდა ავიღოთ, რადგან ვალს პოლიტიკური და ეკონომიკური ვალდებულებებიც მოჰყვება. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმებსაც უნდა გადავხედოთ, რადგან თავისუფალი რეჟიმი განვითარებადი ქვეყნისთვის დამღუპველია, იმიტომ რომ კონკურენციას ვერ შეუქმნი იმპორტს. ამის ნაცვლად, უნდა შემოვიღოთ ზომიერი პროტექციონისტული პოლიტიკა.

**ქართული სუვერენული ეკონომიკური განვითარების გეგმა უნდა შედგეს, ოღონდ ეს გეგმა სადღეგრძელოების კრებული არ უნდა იყოს. პირიქით კონკრეტულად უნდა გაიწეროს საწარმოები, დარგები, თუ რომელ რაიონში, რა ნედლეული გვაქვს, რა მუშახელი გვყავს და რა კვალიფიკაციით, რას ვუშვებთ, როგორ ვუშვებთ, რა ფასად ვყიდით და სად. როდესაც ასეთი გეგმა დაიდება, მაშინ ვიტყვი, რომ საქართველოს გაუჩნდა განვითარების შანსი.**

ესაუბრა
მაია მიშელაძე

**გამდიდრების ოთხი წყარო არსებობს: ბუნებრივი რესურსი, რომელიც გვაქვს, მაგრამ ლიმიტირებული; ცოდნა ანუ ტექნოლოგიები, რაც უზარმაზარი გვქონდა, მაგრამ გავფლანგეთ; ფინანსური ინსტრუმენტი და წარმოება, მრეწველობა, დამატებითი ღირებულება. მრეწველობაში შანსი გვაქვს, თან ითვლება, რომ ქართველი მრეწველობისკენ არის მიდრეკილი, გვაქვს ტალანტი ტექნიკური საკითხების მიმართ. ნობელის პრემიის ლაურეატმა, ნორვეგიელმა ეკონომისტმა გვირჩია ქართველებს: დასავლეთს მოუსმინეთ, მაგრამ არ გააკეთოთ ისე, როგორც გირჩევენ, გააკეთეთ ისე, როგორც ისინი აკეთებენ საკუთარ ქვეყანაში.**



# სახელოვანი მეცნიერი და მამულიშვილი

## აკადემიკოსი რამაზ გახოკიძე იუბილარია

**გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს**

**რამაზ გახოკიძეს**

**ვულოცავთ იუბილეს!**

**ერთმნიშვნელოვნად უნდა აღინიშნოს აკადემიკოს რამაზ გახოკიძის ფასდაუდებელი ღვაწლი ქართული მეცნიერების წინაშე, მისი დამსახურება ქიმიის განვითარების საქმეში.**

თბილისის 53-ე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, რ.გახოკიძემ წარმატებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი; სწავლა განაგრძო ასპირანტურაში და ჯერ კიდევ ასპირანტმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. შემდგომ გაიარა სამეცნიერო სტაჟირება აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში, 1984 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და არჩეულ იქნა პროფესორად. 1983 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რ.გახოკიძემ ჩამოაყალიბა ბიოორგანული ქიმიის ლაბორატორია, 1990 წელს – ბიოორგანული ქიმიის კათედრა, ხოლო 2007 წელს ბიოორგანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, რომელთაც დღემდე წარმატებით ხელმძღვანელობს.

აკადემიკოსი რ. გახოკიძე ფართო ერუდიციის მკვლევარია, მისი გამოკვლევები მოიცავს მრავალ აქტუალურ საკითხს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალი სამეცნიერო მიმართულება, რომელსაც საფუძვლად უდევს ნახშირწყლების მის მიერ აღმოჩენილი მოლეკულური გადაჯგუფების რეაქცია, რომელიც „გახოკიძის გადაჯგუფების“ სახელს ატარებს. ამ ახალი რეაქციით შესაძლებელი გახდა მაღალი ბიოლოგიური აქტიურობის მქონე ძნელად ხელმისაწვდომი, დეფიციტური ნივთიერებების იოლი გზით მიღება. ეს რეაქცია ბუნებაში ბიომოლეკულების ტრანსფორმაციის სრულიად ახლებურად გაგების საშუალებას იძლევა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ბუნებისმეტყველებისა და ბიოტექნოლოგიისთვის.

აკადემიკოსმა რ.გახოკიძემ დაამუშავა დეზოქსირიბონუკლეინის მჟავას (დნმ) ნახშირწყლოვანი კომპონენტის, X-ვიტამინის, სელენის, გოგირდის, სილიციუმისა და სხვა მიკროელემენტების შემცველი ნახშირწყლების სინთეზის მეთოდები; შეისწავლა მარტივი და რთული ნახშირწყლების კონდენსაციის რეაქციები ამინმჟავებთან, ჰეტეროციკლურ და არანაჭერ ნაერთებთან. აკადემიკოსმა რ.გახოკიძემ თანამშრომლებთან ერთად მიიღო აზოტის ოქსიდის – ნერვული, იმუნური და გულ-სისხლძარღვთა სისტემების უმნიშვნელოვანესი რეგულატორის დონორები და გადამტანები, რითაც შესაძლებელი გახდა ორგანიზმის ნორმალურ მეტაბოლიზმში მათი ჩართვა; შეისწავლა ზოგიერთ მცენარეში წყალში ხსნადი პოლისაქარიდების შემცველობა და მათი გამოყენების შესაძლებლობა.

**აკადემიკოსმა რ.გახოკიძემ საფუძველი ჩაუყარა ახალ დისციპლინას – აგრობიოორგანულ ქიმიას. საკუთარი ექსპერიმენტების საფუძველზე გამოთქვა მოსაზრება ცოცხალ უჯრედში ნივთიერებათა ცვლის ახალი გზის შესაძლებლობის შესახებ, რასაც მოჰყვა შესაბამისი ქიმიური და ბიოლოგიური გამოკვლევების სტიმულირება; დაამუშავა ცოცხალი უჯრედის მართვის (თვითორგანიზაციის) გზები, რაც ორგანიზმის პოტენციურ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას იძლევა. მათ საფუძველზე შექმნა ბიორეგულატორების ახალი ტიპი – ბიოენერგოაქტივატორები (ბიორაგი, რაგოცინი, რაგილი და სხვ.), რომელთაც მსოფლიოში ანალოგები არ გააჩნიათ და უზრუნველყოფენ მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების პროდუქტიულობის, ხარისხის და მდგრადობის არსებით ზრდასა და გარემოს დაბინძურების შემცირებას. მათ წარმატებით იყენებენ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის ქვეყნებში.**

ბიოენერგოაქტივატორებით შესაძლებელია: ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის (პროფილაქტიკურ-სამკურნალო თვისებების მქონე) მოსავლის მიღება, ძნელად დასაფესვიანებელი, მრავალწლიანი ძვირფასი მცენარეების ვეგეტაციურად გამრავლება და ზრდისა და ნაყოფმსხმოიარობის რამდენიმე წლით დაჩქარება; მეაბრეშუმეობის აღდგენა; ძველი ენდემური ვაზის ჯიშების გამრავლება; ინფექციებისადმი მგრძნობიარე მაღალხარისხოვანი ლიმონის და სხვა მცენარეთა პლანტაციების მოშენება; ფრინველთა და ცხოველთა პროდუქტიულობის მნიშვნელოვნად გაზრდა.

აკადემიკოს რ. გახოკიძის მიერ შექმნილია ტექნოლოგიის ახალი ტიპი – აგროსამედიცინო ტექნოლოგია, რამაც განაპირობა ახალი დისციპლინის – აგრომედიცინის ჩამოყალიბება. ბატონმა რამაზმა შექმნა მაღალეფექტური სამედიცინო დანიშნულების პრეპარატებიც (ვიტარაბი, რამერი).

იგი ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას წარმატებით უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. კითხულობს ლექციებს მრავალ დისციპლინაში. მან შემოიღო საქართველოში „ბიოორგანული ქიმიის“ და „სამედიცინო ქიმიის“ სწავლება; მანვე შექმნა „აგრობიოორგანული ქიმიის“ და „ქიმია და ცივილიზაციის“ დისციპლინები.

რამაზ გახოკიძე დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს როგორც ქართველ, ისე უცხოელ სტუდენტებში.

აკადემიკოს რ. გახოკიძეს გამოქვეყნებული აქვს არაერთი ნარკვევი მეცნიერების ისტორიის საკითხებზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია გენიალური ქიმიკოსისა და კომპოზიტორის ალექსანდრე ბოროდინის შესახებ, აღადგინა ისტორიული სამართლიანობა და ქიმიაში კარგად ცნობილ ვიურცის რეაქციას ეწოდა ბოროდინის რეაქცია. როცა ხრუშჩოვის პერიოდში უარყოფილ იქნა ბოროდინის ქართული წარმომავლობა, აღნიშნულმა მონოგრაფიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ მხრივაც და ენციკლოპედიებში შეტანილ იქნა შესწორება. რამაზ გახოკიძემ აჩვენა ქართველური ტომების უდიდესი როლი ქიმიური ტექნოლოგიების ჩასახვაში და მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

ბატონი რამაზი, როგორც საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საინტერესო გამოკვლევებს აქვეყნებს ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის საკითხებზე და თანამედროვე კაცობრიობის წინაშე მდგარ პრობლემებზე. მან აღმოაჩინა ე.წ „მუსიკალური კოდის“ პრინციპი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ცილის სტრუქტურის ტრანსკრიფცია მუსიკის ენაზე, რითაც აჩვენა სიცოცხლისა და მუსიკის ჰარმონიული ურთიერთობა.

**აკადემიკოსი რ.გახოკიძე ასევე ეწევა საინტერესო მუსიკალურ მოღვაწეობასაც: შექმნილი აქვს ოპერა „სტუმარ-მასპინძელი“, საფორტეპიანო და სავიოლინო კონცერტები, რომანსები... მისი ბევრი ნაწარმოები პრემირებულია. მაგალითად, აშშ-ის მთავრობის მიერ გამოცხადებულ კლასიკური მუსიკის კონკურსზე მის სიმებიან კვარტეტს მიენიჭა პირველი პრემია. რ.გახოკიძე ავტორია თბილისის უნივერსიტეტის ჰიმნისა, მეცნიერული კულტურის საერთაშორისო ცენტრის ჰიმნისა და სხვ.**

აკადემიკოსი რ. გახოკიძე 800-ზე მეტი პუბლიკაციის: სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების სახელმძღვანელოების, გამოგონებებისა და სამეცნიერო-პოპულარული სტატიების ავტორია. მიღებული აქვს 10 პატენტი და ერთი პრიორიტეტული ცნობა აღმოჩენაზე.

რამაზ გახოკიძეს ხანგრძლივი და მჭიდრო თანამშრობლობა აკავშირებს უცხოეთის მრავალი ქვეყნის სამეცნიერო ცენტრებთან; სისტემატურად გამოდის მოხსენებებით საზღვარგარეთ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. იგი არის ამერიკის ქიმიური საზოგადოების წევრი, თეორიული და გამოყენებითი ქიმიის საერთაშორისო კავშირის (IUPAC) წევრი, ამერიკის ფარმაკოგნოზიის საზოგადოების ნამდვილი წევრი, ევროპის ეკოლოგიური კომიტეტის წევრი და სხვ. კემბრიჯის ბიოგრაფიულმა საერთაშორისო ცენტრმა რამაზ გახოკიძე საუკუნის დიდ მოაზროვნეთა სიაში შეიყვანა; იგი შეყვანილია აგრეთვე საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრის გამოცემაში „1000 დიდი მეცნიერი“; დაჯილდოებულია ამერიკის ღირსების ორდენით; არის მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი. აკად. რ.გახოკიძე ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი არის მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოსა და უცხოეთის ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ბატონ რამაზს მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია, საქართველოს ეროვნული პრემია და მელიქიშვილის სახელობის პრემია; იგი ორჯერაა დაჯილდოებული საქართველოს ღირსების ორდენით; არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი და ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. არჩეულია თბილისის საპატიო მოქალაქედ.

**აკადემიკოს რამაზ გახოკიძეს გულითადად ვულოცავთ იუბილეს, ვუსურვებთ მხნეობას, წინსვლას სამეცნიერო სარბიელზე და მომავალ შემოქმედებით წარმატებებს.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

---

## მოლეკულა, რომელსაც იშვიათ, გენეტიკურ დაავადებებთან ბრძოლა შეუძლია

**მეცნიერებმა აღმოაჩინეს მოლეკულა, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუშალოს მუტაციას. საუბარია იმ გავრცელებულ მუტაციაზე, რომელიც მიტოქონდრიულ დნმ-ს აზიანებს.** მიტოქონდრია უჯრედების ენერგიის წყაროა. ის სხეულში მიმდინარე ყველა პროცესისთვის საჭირო ენერგიას უზრუნველყოფს.

**„მუტაციებს სხვადასხვა დაავადების გამოწვევა შეუძლიათ და მათ წინააღმდეგ წამლები არ არსებობს. მე ვფიქრობ, რომ ეს მიგნება ნამდვილი გარღვევაა (მედიცინაში)“,** – განაცხადა იტალიელმა მეცნიერმა **კარლო ვისკომიმ.**

აღმოჩენილი მოლეკულის წყალობით მეცნიერები ახალი პრეპარატის შექმნაზე მუშაობენ. კლინიკურ კვლევას Pretzel Therapeutics-ი უკვე ადამიანებზე ატარებს. იმ შემთხვევაში, თუ კვლევა წარმატებით დასრულდება, მეცნიერებს მძიმე გენეტიკური დაავადებების ნაწილთან ბრძოლა შეეძლებათ, რაც ამ დროისთვის უბრალოდ შეუძლებელია. საუბარია იმ გენეტიკურ დაავადებებზე, რომლებიც POLG გენის მუტაციით არის გამოწვეული. მსგავს დაავადებას მსოფლიოში 10 000-დან ერთ ადამიანს უდგენენ. მეცნიერების თქმით, ისინი გაოცებულნი დარჩნენ იმით, თუ როგორ შეეძლო ასეთ პატარა მოლეკულას POLG-ის მუტანტური ფორმების სტაბილიზება და ასევე ჯანმრთელი ცილების აქტივობის შეცვლა.

## ახალი მუტაცია, რომლის მფლობელებსაც გამოძინებისთვის 4 საათი ჰყოფნით

**მეცნიერებმა იშვიათი მუტაცია აღმოაჩინეს, რომელიც ადამიანებს დღე-ღამეში 4-დან 6 საათამდე ძილის შემდეგაც კარგად ფუნქციონირების საშუალებას აძლევს, მაშინ, როდესაც უმეტესობას ამისთვის 8 საათი სჭირდება. შესაბამისი კვლევა ჟურნალ PNAS-ში გამოქვეყნდა.**

საუბარია გენეტიკურ მუტაციაზე SIK3-N783Y, რომელიც მეცნიერთა გუნდმა მოდიფიცირებულ თაგვებშიც გამოიკვლია და დაადგინა, რომ ასეთ თაგვებსაც გამოსაძინებლად ნაკლები დრო სჭირდებოდათ. ახალაღმოჩენილი მუტაცია ერთ-ერთია იმ რამდენიმე მუტაციათაგან, რომლებსაც მეცნიერები ძილის უფრო მოკლე რეჟიმს უკავშირებენ. მათ იმედი აქვთ, რომ ასეთი ადამიანების გენეტიკის შესწავლით, ძილის დარღვევებისთვის უკეთესი მკურნალობის მეთოდების შემუშავებას შეძლებენ.



## შაქრის შემცვლელები შესაძლოა ტვინის ფუნქციას ცვლიდეს



**ახალი კვლევის მიხედვით, შაქრის შემცვლელები, როგორებიცაა ასპარტამი და სუკრალოზა, შესაძლოა ტვინის ნეირონულ აქტივობაზე ზემოქმედებდეს, რაც მადას ზრდის და მეტ საკვებზე მოთხოვნას იწვევს.**

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის, მედიცინის სკოლის ბოლო კვლევის თანახმად, სუკრალოზა – ფართოდ გამოყენებული შაქრის შემცვლელი – ზრდის ჰიპოთალამუსის აქტივობას ტვინის უბანში, რომელიც არეგულირებს მადას და სხეულის წონას. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ დამატებითი კვლევები საჭიროა, რათა სრულად დადგინდეს, რა გავლენას ახდენს შაქრის შემცვლელები ადამიანის ჯანმრთელობაზე და რამდენად უსაფრთხოა მათი გრძელვადიანი მოხმარება.



# სოფლის მეურნეობის დიდი სპეციალისტი, ღირსეული სახელმწიფო მოღვაწე

## აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე — 90

**2025 წლის 15 მაისს — დაბადებიდან 90 და სამეცნიერო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრს ნაპოლეონ ქარქაშაძეს.**

— — — — — — — — — — — — — — —

**ბატონი ნაპოლეონი დაიბადა ქ. თბილისში, პედაგოგების ოჯახში. 1943 წელს შეაღო თბილისის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის კარი და სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოში იმ დროისათვის ერთ-ერთ ცნობილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა. იგი სიყვარულით იხსენებს როგორც სკოლას, ისე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლებს, „გამიმართლაო", ამბობს... მართლაც, იმხანად „სასოფლოში" მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები ასწავლიდნენ, მათგან ახალგაზრდა თაობა არა მარტო პროფესიის, არამედ ქვეყნისა და ერის მსახურებასაც სწავლობდა. ბატონი ნაპოლეონი შემდგომ ხშირად ახსენებს თავის აღმზრდელებს, თავის მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებსა თუ სხვა სახის პუბლიკაციებში.**

1961 წელს საქართველოსთვის გამოყოფილი ლიმიტით იგი სასწავლებლად გაემგზავრა მოსკოვის ეკონომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდეგ, იქვე გაიარა აპრობაცია და შემდეგ საქართველოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

თვითონ ბატონი ნაპოლეონი თავის ცხოვრებაში გარდამტეხ მოვლენად მიიჩნევს 1956 წელს, როდესაც ქ. ლაიფციგში ჩატარდა მსოფლიო დემოკრატიული ქვეყნების სტუდენტების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მან მოხსენება გააკეთა თემაზე: „საქართველო, კულტურული მიწათმოქმედების უძველესი ქვეყანა". დიპლომმა, რომელიც იქ მივიღე, განსაზღვრა ჩემი ცხოვრების მიმართულებაო" — იგონებს ის.

ბატონი ნაპოლეონი ოთხი წელი ხელმძღვანელობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრას, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი საინსტიტუტო კათედრა გახდა. 1975 წელს იგი დაინიშნა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად, ახალგაზრდა კაცისათვის ეს იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი კარიერული წინსვლა. ბატონმა ნაპოლეონმა 16 წელი გაატარა აფხაზეთში. მისი რექტორობის დროს აშენდა სასტუმროს ტიპის ოთხი საერთო საცხოვრებელი, ინსტიტუტის მეურნეობა „ეშერაში", ზღვის ნაპირზე სტუდენტური დასასვენებელი კომპლექსი, ექსპერიმენტული ჩაის ფაბრიკა, რომელსაც ჰქონდა თანამედროვე საკონფერენციო და სადეგუსტაციო დარბაზები, კვლევითი ლაბორატორიები. მოხდა ინსტიტუტის კაბინეტ-ლაბორატორიების მთლიანი გადაიარაღება, გაიხსნა რამდენიმე პრობლემური ლაბორატორია, ფუნქციონირება დაიწყო სადისერტაციო საბჭოებმა. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი გახდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრი.

რთული პერიოდი იყო მაშინ აფხაზეთში, რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტები ანტიქართულ მოთხოვნებს აყენებდნენ, ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლას. ამ პერიოდში ნაპოლეონ ქარქაშაძე სათავეში ჩაუდგა ქართული საზოგადოების ბრძოლას ერთიანი ქართული სივრცის შესანარჩუნებლად. მისმა დიდმა ავტორიტეტმა ბევრი აფხაზი შემოაბრუნა ქართულ პოზიციაზე.

ბატონმა ნაპოლეონმა 1982 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, მისი კვლევის საგანი იყო სსრ კავშირის ჩაის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები, რომელშიც საქართველოს გარდა წარმოდგენილი იყო აზერბაიჯანისა და რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის პერსპექტივები. მისი სადისერტაციო შრომის ძირითადი დებულებები მოისმინა სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, რომლის წევრ-კორესპონდენტადაც 1990 წლის სექტემბერში დაუსწრებლად აირჩიეს, 1995 წელს იგი აირჩიეს რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო 1996 წელს გადაიყვანეს ამავე აკადემიის უცხოელ წევრად.

1990 წლის ივლისში ნაპოლეონ ქარქაშაძე საკონკურსო წესით აირჩიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად; ამ თანამდებობაზე მან 14 წელი იმუშავა. ეს იყო საქართველოს ისტორიის უმძიმესი პერიოდი, ცხადია, უჭირდა აგრარულ უნივერსიტეტსაც, რომელმაც სახელწოდება 1991 წელს შეიცვალა მისი ინიციატივით. მიუხედავად პრობლემებისა, ბატონმა ნაპოლეონმა შეინარჩუნა ინსტიტუტის კადრები, გახსნა ახალი სპეციალობები, დამყარდა კონტაქტები ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან, აგრარული უნივერსიტეტი მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციაში, უნივერსიტეტის ბაზაზე ტარდებოდა საერთაშორისო სიმპოზიუმები, ბატონი ნაპოლეონი არჩეული იქნა საერთაშორისო ორგანიზაცია „იკარდას" თანათავმჯდომარედ, უმაღლესი სკოლების მსოფლიო ასოციაციის (ქ. სან-ფრანცისკო) ევროპის სექციის პრეზიდიუმის წევრად, საზღვარგარეთის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად, პროფესორად, სან-ფრანცისკოსა და უმაღლესი სკოლების საერთაშორისო აკადემიების ნამდვილ წევრად და ა.შ.

1990 წელს საქართველოში აღდგა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემია, რომლის პირველ შემადგენლობაში იგი არჩეული იქნა აკადემიისა და მისი პრეზიდიუმის წევრად, ხოლო 2004 წელს ამავე აკადემიის პრეზიდენტად აირჩიეს.

ფართოა აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის სამეცნიერო კვლევის არეალი, იგი 316 სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორისაა 10 მონოგრაფია და 7 სახელმძღვანელო. აქვს ერთი გამოგონება. მისი სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულება მსოფლიო სოფლის მეურნეობაა, ამ პრობლემას მან ორი მონოგრაფია მიუძღვნა. მას გაზრდილი ჰყავს ასპირანტებისა და დოქტორანტების მთელი პლეადა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" და „ღირსების" ორდენებით, ხოლო 1984 წელს იგი გახდა სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატი, სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრი, სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებისა და ქართული ენციკლოპედიის სოფლის მეურნეობის სექციის წევრი და ა. შ. მისი ინიციატივით 1992 წელს დაარსდა საქართველოს უმაღლესი სკოლების რექტორთა საბჭო, რომლის პირველი პრეზიდენტიც თავად იყო.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე დღესაც მონაწილეობს აკადემიის სამეცნიერო საქმიანობაში, ბრძანდება აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის კონსულტანტი (აგრარული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებთან, პროფესიულ სასწავლებლებთან და აგრარულ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობები) და პოპულარული სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი.

ცალკე განხილვის თემაა ნაპოლეონ ქარქაშაძის პუბლიცისტიკა და მწერლობა. მის კალამს ეკუთვნის არაერთი პუბლიცისტური ხასიათის მწვავე სტატიები, იგი ავტორია სამი პოლიტიკური რომანის — „სტალინი", „ხრუშჩოვი", „ბრეჟნევი", ამათგან „სტალინი" რამდენჯერმე გამოიცა მოსკოვში. 2013 წელს მკითხველმა მიიღო მისი სათავგადასავლო რომანი „აკადემიკოსი გისოსებს მიღმა", რომელმაც მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე გახლავთ შესანიშნავი მამა და ბაბუა.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და მთელი შემადგენლობა გულითადად ულოცავენ ბატონ ნაპოლეონს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და დიდ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.**

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია**

---

# იწყება ვაკისა და გლდანის რაიონების ქუჩების სრული რეაბილიტაცია

**თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.**

**დედაქალაქის მერის თქმით,** ვაკის რაიონში ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და გიორგი წერეთლის ქუჩების სრული რეაბილიტაცია იწყება, რაც აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, განახლებას, სატრანსპორტო დატვირთვის შემცირებას, გადაადგილების გამარტივებასა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. სარეაბილიტაციო არეალი ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიიდან წყნეთის გზატკეცილის N6-მდე არსებულ საგზაო მონაკვეთს მოიცავს.

**„პროექტის ფარგლებში, ამორტიზებული მიწისქვეშა საკომუნიკაციო სისტემები სრულად განახლდება. ჩვენ ჭავჭავაძის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები ვაკის პარკამდე უკვე განვახორციელეთ და დარჩენილი მონაკვეთი სწორედ ამ პროექტის ფარგლებში განახლდება. შეიცვლება წყალმომარაგების, გაზმომარაგების, სანიაღვრე და წყალარინების ქსელები, ხოლო საჰაერო ელექტროსადენები მიწისქვეშ განთავსდება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც ვიზუალურ გარემოს, ისე სისტემების მდგრადობასა და უსაფრთხოებას. ინფრასტრუქტურა სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებისთვის. ასევე ჩატარდება გამწვანების სამუშაოები",** — განაცხადა **თბილისის მერმა.**

მისი თქმით, ქუჩებზე მოეწყობა ტროტუარები, უსაფრთხოების კუნძულები და ზებრა გადასასვლელები; გზის სავალ ნაწილს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება და დაიგება ასფალტის საფარი; განახლდება გარე განათების სისტემა და დამონტაჟდება ენერგოეფექტური LED სანათები.



**„განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გზის იმ მონაკვეთის გაფართოება, რომელიც ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიიდან იწყება და წყნეთის გზატკეცილის N6-მდე გრძელდება. აღნიშნული გზის სავალ ნაწილს კიდევ ერთი სამოძრაო ზოლი დაემატება, რაც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის ნაკადების გამტარუნარიანობის ზრდას, შეამცირებს საცობებს და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გადაადგილების კომფორტს. სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება. სამუშაოების წარმოების პერიოდში, საავტომობილო მოძრაობა დროებით შეიზღუდება, ასევე, შეიცვლება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სქემა, რაზეც დეტალური ინფორმაცია საზოგადოებას დამატებით ეცნობება",** — აღნიშნა **კახა კალაძემ.**



დედაქალაქის მერმა ასევე განაცხადა, რომ გლდანის რაიონის გამგეობამ სანდრო ახმეტელის (ყოფილი აკაკი ვასაძის) ქუჩის სრული რეაბილიტაცია დაიწყო. სამუშაოები რამდენიმე ეტაპად ხორციელდება.

მისი თქმით, პროექტის პირველ ეტაპზე, მიწისქვეშა კომუნიკაციები მოწესრიგდება. კომპანია „ჯორჯიან უეთერ ენდ ფაუერი" წყალმომარაგების ქსელს შეცვლის, შესაბამისი კომპანიები კი საჰაერო ელექტროსადენებს მიწისქვეშა კაბელ-არხებში განათავსებენ.



დიმიტრი ყიფიანი

# პანთეონისთვის „მთაწმინდელობის“ მიმნიჭებელი კაცის შთამომავალთა ნაკვალევზე



ნიკოლოზ ყიფიანი

**იმ უდიდეს მამულიშვილთა შორისაც კი, რომლებიც საქართველოს მე-19 საუკუნემ მისცა, დიმიტრი ყიფიანის სახელი მუდამ რჩეულთა შორის მოიხსენიება. 2007 წელს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა, რაც სარწმუნოებისა და ერის წინაშე მისი ღვაწლის უტყუარი დასტურია.**

**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი (1811-1887 წ.წ.) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, პუბლიცისტი, მთარგმნელი გახლდათ. 1864-70 წლებში იგი ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო, 1875-79 წლებში – ტფილისის ქალაქის თავი, 1879-89 წლებში – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, 1885-86 წლებში – ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი.**

**1887 წლის 24 ოქტომბერს, ღამით, ქალაქ სევასტოპოლში მტრებმა იგი მძინარე მოკლეს. მისი ნეშტი სამშობლოში ჩამოასვენეს, და, როგორც ერთხელ ითქვა, „მთაწმინდისთვის მთაწმინდელობის მომნიჭებელი“ კაცი, პანთეონში დაკრძალეს.**

**მისი შთამომავლები, სახელოვანი წინაპრის დარად, აქტიურად მონაწილეობდნენ და ამჟამადაც წარმატებით იღვწიან სახელმწიფო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. ზოგი მათგანი ემიგრაციაში აღმოჩნდა, ზოგმაც სამშობლოში განაგრძო მოღვაწეობა, თუმცა კი, საბჭოურ ეპოქაში თავიანთ წარმომავლობას შიშით ვერც ამხელდნენ.**




თამარ მიქაძე

**ისე მოხდა, რომ ემიგრაციაში წასული დიმიტრი ყიფიანის შვილები ბელგიაში – შესაძლოა, სულაც მთელ ევროპაში! – „პირველი ქართველი მერცხლები“ იყვნენ, რომელთაც იქ ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია, თანაც საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო ასპარეზზე დიდი წარმატება და აღიარება მოუტანა.**

**წლეულს, მარტის მიწურულს კი, დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავლები – ქალბატონები თამარ და ქეთევან მიქაძეები, თავიანთ ქალიშვილებთან – სოფიო ისაკაძესა და დალი ვაჩნაძესთან ერთად, ბელგიაში, იმ ადგილების მოსანახულებლად იმყოფებოდნენ, სადაც ოდესღაც მათი დიდი წინაპრები ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ.**

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია ქალბატონი თამარ მიქაძე – მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალი და საოჯახო არქივის მემკვიდრე, წმ. დიმიტრის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი.**

**– ქალბატონო თამარ, რა იყო კონკრეტულად ბელგიაში თქვენი გამგზავრების მთავარი მიზანი, რა ცნობების მოძიებას ვარაუდობდით?**

– ჩვენ დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავლები ვართ. მე წმ. დიმიტრის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი გახლავართ, ამდენად, ვფიქრობ, რომ არ უნდა იყოს გასაკვირი ბელგიაში ჩვენი ჩასვლის უპირველესი მიზანი იმ ადგილების მონახულება გახლდათ, სადაც ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ და სამარადისო სასუფეველი დაიმკვიდრეს მისმა შვილებმა – ნიკოლოზ, ნინო და ბარბარე ყიფიანებმა.

**– თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვიამბეთ თქვენი წინაპრების შესახებ.**

– დიდი დიმიტრი ყიფიანის უფროსი ვაჟი ნიკოლოზ ყიფიანი (1846-1905 წ.წ.) იყო კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მეცნიერი, გამომცემელი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. მან პირველმა თარგმნა ქართულად საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი „მარსელიოზა“, წიგნად გამოსცა არსენას ლექსი, ასევე „ქართული პოეზიის ნიმუშები და გარჩევა“, „ორი დიდი მანდილოსანი – მეფე თამარი და დედოფალი ქეთევანი“. იგი აქტიურად იბრძოდა მსოფლიოს ქალთა უფლებების დასაცავად, დასტამბა ბროშურა ინდოელი ქალების გათავისუფლებაზე. ნიკო ბელგიაში სამკურნალოდ გაემგზავრა, რადგან მამის, დიმიტრი ყიფიანის აღსასრულის შემდეგ სამართალს ვერ მიაღწია, ნერვიულობისგან დიაბეტი დაემართა და მკურნალობა დასჭირდა. იგი იყო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიგლოტი, ბავშვობიდან ფლობდა ექვს უცხო ენას. ბრიუსელის უნივერსიტეტში მან დააარსა პოლიგლოტთა კათედრა, ერთ-ერთ განყოფილებას თავად უძღვებოდა.

მამის კვალს გაჰყვნენ ქალიშვილებიც. აქვე უნდა ითქვას, რომ მათგან უფროსი – ელისაბედი (ვეტა), ჩვენი ბებია – საქართველოში დარჩა და ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას. მისი უმცროსი დები ნინო და ბარბარე 1902 წ. ბელგიის უნივერსიტეტის სტუდენტები ხდებიან – ნინო იურიდიული, ხოლო, ბარბარე სამედიცინო განხრით. ნინო ქართულ ენციკლოპედიაშია მოხსენიებული, როგორც პირველი წარმატებული იურისტი ქალი ამიერკავკასიაში. ბარბარეს რაც შეეხება, მისი პროფესიული წარმატება ცალკე საუბრის თემაა. ის იყო პირველი ფსიქოფიზიოლოგი ქალი, თან პირველი იმ ქალბატონებს შორის, ვინც გაჭრა გზა ევროპაში. გახლდათ საფრანგეთის აკადემიის წევრი, ოქროსა და ვერცხლის საერთაშორისო მედლების მფლობელი. მუშაობდა ისეთ რთულ საკითხებზე, რომელზეც კვლევა დღემდე გაიშვიათებულია: **კერძოდ, მეხსიერებათა განსაზღვრის ხერხებზე, აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე, ტროპიზმზე, ამბიტექსტრიაზე (ორივე ხელის ერთნაირად მომარჯვებაზე) მოზარდთა შორის და სხვა.**

1918 წელს ბარბარე, საგანგებო მოწვევით ჩამოდის სამშობლოში, უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით, ამბობს სიტყვას საზეიმო ღონისძიებაზე. ორიოდე წელი უნივერსიტეტში მუშაობს აკაკი შანიძის თანაშემწედ. 20-იანი წლების რეპრესიების ძლიერი ტალღის შედეგად სამშობლოს დატოვება უწევს. შემდგომ მისი კვალი იკარგება.

ბოლო წლებში სოციალურ ქსელებში, ასევე ზოგიერთ ტელეეთერში ბევრი არასწორი ინფორმაცია გავრცელდა მის შესახებ. ითქვა, რომ ის ღრმა მოხუცი გარდაიცვალა, ზოგჯერ მისი საფლავის ადგილებსაც უთითებდნენ. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს ჩემს წერილს ლიტერატურულ ჟურნალში „ანეული“, 2021 წლის N1, სადაც ბარბარეს ბიოგრაფია უტყუარ ცნობებზეა აგებული. კონკრეტულად, აღნიშნულია, რომ მისი გარდაცვალების დრო და ადგილი, ასევე, საბოლოო განსასვენებელი დღემდე უცნობია.

**– ბელგიაში წასასვლელად და იქ საჭირო ცნობების მოსაძიებლად, დიდი ძალისხმევაა საჭირო, როგორ შეძელით ყოველივე ამის მოგვარება?**

– ბელგიაში გამგზავრებამდე, თხოვნის წერილით მივმართეთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რათა დაგვხმარებოდა საჭირო ინფორმაციის მოძიებაში. ჩვენდა გასახარად, პასუხმა არ დააყოვნა და ბელგიაში ჩასულებს მალევე საქართველოს საელჩოდან გამოგვეხმაურნენ. დათქმულ დროს მოგვაკითხეს და ერთად დავადექით ძიების გზას. კონკრეტული საფლავის კვალი დაკარგულია. როგორც სასაფლაოს ტერიტორიაზე განთავსებულ არქივში გვითხრეს – თანხის გადაუხდელობის გამო. ამდენად, გამორიცხული არაა, რომ იქ უკვე სხვა პირიც იყოს დაკრძალული. არქივში ვნახეთ საბუთი, სადაც მითითებულია ნიკოლა ყიფიანის საფლავის გადასახადის გადამხდელის, ბარბარე ყიფიანის ვინაობა, ბარათი კი შევსებულია მისივე ხელით.

საოცარი ემოცია დაგვეუფლა ყველას, რადგან დიდი ხნის ძიების შემდეგ, შევძელით სასაფლაოს მიკვლევა და დიდი ბაბუის განსასვენებლის ადგილის ხილვა.

ძალიან ემოციური იყო ის დღე ჩვენთვის. რამდენჯერმე შემოვუარეთ დიდებულად მოვლილ, აკადემიურ სასაფლაოს, ირგვლივ ვარდისფრად ყვაოდა მაგნოლიები. გოგონებმა ბევრი იტირეს. მე და ჩემი დაც გაოგნებულები ვიყავით, თითქოს, გულში გვეღვრებოდა ცრემლი. ბინაში დაბრუნებულებმა წმ. დიმიტრის ტაძრიდან მამა მალხაზის ლოცვა-კურთხევით გამოყოლილი სანთლები დავანთეთ წინაპრების სახელზე.

**დიდი მადლიერების გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ თუ არა ბელგიაში საქართველოს საელჩოს თანამშრომელთა დიდი მონდომება და გულითადი დამოკიდებულება, ჩვენი მისია, ალბათ, უშედეგო აღმოჩნდებოდა და ნიკოლოზ ყიფიანის სამარადისო სასუფევლის მიგნება, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე მცდელობის შემდეგ მივაკვლიეთ, წარმოუდგენელი იქნებოდა. თანაც, რაც მეტად სიმბოლურია, ეს ამბავი მისი გარდაცვალებიდან ზუსტად 120 წლისთავზე მოხდა!**

თუმცა, ისიცაა, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, მხოლოდ სასაფლაოს და არა მისი საფლავის მიგნება შევძელით, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი, „ბელგიური არდადეგები“ უფრო შედეგიანი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა: კერძოდ, მოვინახულეთ სამი საცხოვრებელი სახლი, სადაც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ ჩვენი დიდი ბებიები – ნინო და ბარბარე; ნიკო ყიფიანის გარდაცვალები-



დალი ვაჩნაძე, თამარ და ქეთევან მიქაძეები და სოფიო ისაკაძე

# ვიდრე ურემი გადაბრუნდება!..

დან 120 წლისთავზე მივაგენით მის სასაფლაოს; მოვინახულეთ უნივერსიტეტი „ლიბრე“, სადაც სწავლობდნენ ნინო და ბარბარე, მოღვაწეობდა მათი მამა – ნიკოლოზი; ამჟამად ეს ახალი შენობაა, ძველთან მხოლოდ სახელი აკავშირებს; დავათვალიერეთ ლეოპოლდის ბაღი, ოდესღაც მძიმე წარსულის მქონე, ულამაზესი ბუნებით, ტბაში მოცურავე გედებით. მწვანე მდელოზე მოჟრიამულე მოსწავლეებით, დღემდე მყარად შემონახული შენობებით; სწორედ აქ, ამ შენობათაგან ერთ-ერთში ჯერ კიდევ მეოთხეკურსელმა გოგონამ, შემდეგში თვალსაჩინო მეცნიერმა ბარბარე ყიფიანმა წაიკითხა არაჩვეულებრივი მოხსენება, რითიც მონუსხა იქ დამსწრე მსოფლიო კონგრესის საზოგადოება; დედაქალაქის გარდა ვიყავით, სხვა ქალაქებშიც, სადაც ოდესღაც ჩვენი წინაპრებიც იყვნენ ნამყოფი. მოვინახულეთ ანტვერპენი და ბრიუგე – ამ უკანასკნელმა ჩვენი განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურა. ყველაზე უფრო ბრიუგეშია შემორჩენილი ბელგიის იერსახე: ევროპულად გაწკრიალებული ქუჩები, ფერადი სახლები, პაწია ხიდები და სანიმუშო წესრიგი, რასაც დედაქალაქში ნაკლებად შევხვდით.

**– დიმიტრი ყიფიანის ვაჟიშვილის ნიკოლოზის სამარადისო განსასვენებლის ადგილის მიგნება, თავისთავად, დიდად მნიშვნელოვანი ამბავია. გარდა ამისა, ბელგიაში თქვენს ვიზიტს თუ ჰქონდა რაიმე სხვა შედეგი? რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდით ევროპის გულიდან?**

– რა თქმა უნდა, ჩვენი ბელგიური მოგზაურობის ყველა საინტერესო მომენტი თუ ობიექტი აღვნუსხეთ. საინტერესო მასალა დაგვიგროვდა და მუშავდება სამომავლო წიგნი-ალბომისთვის. ამ ყველაფერს და საგარეო ურთიერთობებს სანიმუშოდ უძღვებოდა სოფიო ისაკაძე, მისთვის ეს მესამე გამოცდილებაა, ჩვენი ერთობლივი ნამუშევრების – ორი ფოტოალბომის შემდეგ.

იქაური ყოველდღიურობის ზუსტი აღწერა და სალიტერატურო ფორმის მიცემა დღიურებისათვის ჩემს დისშვილს დალი ვაჩნაძეს ებარა, რომელიც წლებია ნიუ-იორკში ცხოვრობს და თავად აქვს სამშობლოსგან შორს ყოფნის ნოსტალგიაც.

საარქივო ექსკლუზიური ხელნაწერები გაშიფრა და რუსულიდან თარგმნა ჩემმა დამ ქეთევან მიქაძემ, სწორედ ამის საშუალებით, მივაგენით ბებიების საცხოვრებელ სახლებს.

პირადად ჩემთვის, ეს მეოთხე წიგნი-ალბომია, რომლის პროექტის ავტორიც გახლავართ.

**– ქალბატონო თამარ, ლიტერატურული საქმიანობა, ამ ცნების ფართო გაგებით, გვარიშვილობით მოსდგამთ, ამასთან, თქვენ ასევე წმ. დიმიტრის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ბრძანდებით. თუ შეიძლება, გვიამბეთ თქვენი საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ.**

– ბოლო წლებში სამი ფოტოალბომი გამოვეცი, მათ შორის: „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობა“ (2010 წ.); „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“ (2016 წ.) და „გზა უსასრულო“, რომელიც ეძღვნება ჩემი ბიძის, რეჟისორ გურამ პატარაიას ხსოვნას (2022 წ.).

ამჟამად ვმუშაობ მეოთხე წიგნ-ალბომზე, სადაც სხვა მასალებთან ერთად, ჩვენი ბელგიური ეპოპეაც იქნება ასახული. კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ საიმისოდ, რომ ეს ნაშრომიც ფოტოალბომების ტრილოგიის ღირსეული გაგრძელება იყოს, საჭიროა თავდაუზოგავი მუშაობა სამშობლოშიც და მის ფარგლებს გარეთაც.

**დაბოლოს, მინდა გულწრფელად ვთქვა, რომ ბელგიაში დიმიტრი ყიფიანის შთამომავალთა სამარადისო განსასვენებლის მიკვლევა მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო ოჯახისთვის, არამედ მათთვისაც, ვინც ასეთ დიდ პიროვნებებს საკუთარ წინაპრადაც მიიჩნევს და მოიაზრებს.**

**მადლობა ბელგიას, ჩვენი წინაპრებისთვის მეორე ძვირფას ქვეყანას, საყვარელი სამშობლოს მერე!**

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის სიტყვები იქაც და აქაც გვახსოვდა და გვაძლიერებდა: „არსებობს სულთა კავშირი... ჩვენმა ურთიერთობამ, ჩვენმა მშობლებმა, ჩვენმა წინაპრებმა უნდა გაგვაძლიერონ ჩვენ, აქ მყოფნი... ყველას საქართველოში ეძლევა ლოცვა-კურთხევა, რომ შევავედროთ ჩვენი წინაპრები, მშობლებით დაწყებული და ავიდეთ ზევით“.**

ესაუბრა

**ოთარ ტურაბელიძე**

(მესამე გვერდიდან)

## შალვა პაპუაშვილი:

## შარლ მიშელის შეთანხმების გაუქმების მიუხედავად, 43 %-იანი ბარიერი სიმბოლური თამასის მნიშვნელობას ატარებდა

**შეთანხმების მიუხედავად, რადიკალური ოპოზიციის მთავარმა ბირთვმა უარი თქვა შარლ მიშელის დოკუმენტის ხელმოწერასა და პარლამენტში შესვლაზე, რითიც გააგრძელა პოლიტიკური პოლარიზაციის პროცესი და კრიზისული ვითარების ესკალაციის მცდელობა, რომლის გამოყენებაც სწორედ თვითმმართველობის არჩევნებზე უნდა მომხდარიყო,** – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** მეათე მოწვევის პარლამენტის საქმიანობის ანგარიშის წარდგენის დროს.

**„სწორედ ამიტომ „ქართულმა ოცნებამ“ 2021 წლის ივლისის ბოლოს „19 აპრილის შეთანხმება“ დატოვა და საარჩევნო კამპანია დაიწყო. აპრილისა და აგვისტოს შუალედში საზოგადოებრივი განხეთქილება მორიგ ჯერზე სცადეს უმცირესობების უფლებათა თემის მანიპულაციით, ლგბტ მარშებით, რაც ძალადობრივ პროცესში გადაიზარდა, ხოლო რუსთაველის პროსპექტის ავანსცენაზე პოლიტიკურ აქტივისტებად ქცეული მედიამუშაკები გამოჩნდნენ. 2020 წელს ჩავარდნილი პარტიების რევოლუცია 2021 წელს მედიამუშაკთა გუგუნმა შეცვალა.**

**მიუხედავად შარლ მიშელის შეთანხმების გაუქმებისა, 43%-იანი ბარიერი, რომელიც უნდა გადაელახა „ქართულ ოცნებას“ 2021 წლის არჩევნებზე, სიმბოლური თამასის მნიშვნელობას მაინც ატარებდა. ყველას გვახსოვს, როგორ მოაწერინეს უკვე ანულირებულ შეთანხმებაზე, ანუ ფარატინა ქაღალდზე ხელი „ნაციონალურ მოძრაობას“, მხოლოდ იმისთვის, რომ ევროკავშირის მაშინდელ ელჩს, სავარძელში მედიდურად ჩამჯდარს, ვიდეომიმართვით ერისთვის ეცნობებინა, რომ შეთანხმება ახლა სრულად ძალაშია და ბარიერის „დამოკლეს მახვილიც“ ჰაერში ჩამოჰკიდა“...**

## რა მოხდებოდა, „არაჟნის რევოლუციის“ გეგმა რომ განხორციელებულიყო?



**მოწოდებები პირდაპირ იყო მიმართული საქართველოში მოვლენათა ისეთი განვითარებისკენ, რომელსაც, საბოლოო ჯამში, სამხედრო ავანტიურა და მეორე ფრონტის გახსნა უნდა მოეტანა,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

**„ხომ დაუჯერებელია დღეს ამ გზავნილების მოსმენა? ჩვენს ოპონენტებს ხომ ასევე არ სჯეროდათ, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი და „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე იდენტურ ამბებს ყვებოდნენ საქართველოს მთავრობაზე ზეწოლის შესახებ? ეს მოწოდებები პირდაპირ იყო მიმართული საქართველოში მოვლენათა ისეთი განვითარებისკენ, რომელსაც, საბოლოო ჯამში, სამხედრო ავანტიურა და მეორე ფრონტის გახსნა უნდა მოეტანა. თუმცა ეს არ გამოვიდა საქართველოში და ამიტომ ამ გეგმას მოგონილი დაარქვეს. კი მაგრამ, არ გაიხსნა მეორე ფრონტი რუსეთ-უკრაინის ომში?**



**აბა, გავიხსენოთ კურსკის ოპერაცია, როდესაც უკრაინამ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიის ნაწილი დაიკავა ზუსტად იმ მიზნით, რომ რუსული ძალების გადასროლა მომხდარიყო ძირითადი ფრონტიდან მოშორებით და ამით შემსუბუქებულიყო სამხედრო ზეწოლა. შევხედოთ ამ ოპერაციის მასშტაბებს: 15 000 ჯარისკაცი უკრაინის მხრიდან, 60 000 ჯარისკაცი რუსეთის მხრიდან და გავიხსენოთ 2008 წლის ომის მონაცემები. მასშტაბი ერთი – ერთშია. სწორედ ეს კურსკი უნდა მომხდარიყო საქართველოში, რომელიც ბევრად უკეთესი პოლიგონი იქნებოდა პოლიტიკური მიზნების თვალსაზრისით.**

**კიდევ ერთი მსხვერპლი სახელმწიფო, კიდევ ბევრი მგლოვიარე ქალი და ცრემლიანი ბავშვი, რაც დამატებითი წნეხი იქნებოდა სამხედრო დახმარებაზე მოყოყმანე ქვეყნებისთვის. ახლა კი დავფიქრდეთ, რა მოხდებოდა, „არაჟნის რევოლუციის“ გეგმა რომ განხორციელებულიყო და ამ ომს ხელისუფლებაში ის ე.წ. გულწრფელი მოქალაქეები დახვედროდნენ, ვინც უკრაინაში დაწყებული ომის პარალელურად უკრაინულ დროშაში გახვეულები რუსთაველიდან მეომრების გაგზავნას, ცის ჩაკეტვას და სანქციების დაწესებას მოითხოვდნენ? ხომ შევიდოდნენ იმ ესკალაციის სპირალში, რომლის ბოლოშიც გარანტირებულად ომია? ხომ მოხდებოდა აქ კურსკი? ხომ იქნებოდა აქ მეორე ფრონტი? ეს სცენარი ავარიდეთ ჩვენს ქვეყანას და სწორედ მეათე მოწვევის პარლამენტი ჩადგა ამ პოლიტიკური თავდაცვის ღონისძიებების ავანგარდში“...**



## დღეს თბილისის ქუჩებში ძალადობა ევროკავშირის დროშაში გახვეული დადის!

**დონორების მხრიდან ფულის ხარჯვის შედეგებზე პასუხისმგებლობის თავიდან არიდების ფონზე ერთადერთ გზად დარჩა ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულაცია. 2023 წლის გაზაფხულიდან პარლამენტმა დაიწყო საკანონმდებლო პროცესი, რომლის მიზანიც ქართული პოლიტიკის ჩრდილოვანი დაფინანსების გასაჯაროებაა,** – ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა**.

**„არ შეიძლება, რომელიმე სახელმწიფო მილიონობით დოლარის ხარჯვით გავლენას ახდენდეს უცხო საზოგადოების ცხოვრებაზე და უმალავდეს ამ საზოგადოებას, თუ რას და რისთვის ხარჯავს. სხვა სახელმწიფოს მიმართ ამგვარი მეურვეობითი დამოკიდებულება, „მესამე სამყაროს“ და „ბანანის რესპუბლიკის“ კატეგორიებით აზროვნება მე-20 საუკუნეს ჩაბარდა. გამჭვირვალობის შესახებ კანონმა და მის გარშემო აგორებულმა მოვლენებმა ლაკმუსის ქაღალდის როლი შეასრულა.**

**...საბედნიეროდ, ისტორიის გაკვეთილებისა და ღრმა ცივილიზაციური მეხსიერების მქონე ქართველმა ერმა, ამომრჩეველთა სრულმა უმრავლესობა ზუსტად დაინახა, თუ სად იყო ჭეშმარიტება, სიმართლე და ქვეყნის ნამდვილი ინტერესი. დაინახა და სწორი არჩევანიც გააკეთა. ძალა ერთობაშია, სიკეთე ამთლიანებს, ბოროტი კი ყოფს. ისტორიულად საქართველოს დამარცხების ფორმულა სწორედ ეს იყო, ჩვენი დაქუცმაცება და გათითოკაცება. ეს პოლარიზაცია ამჯერადაც უცხოეთმა მოგვახვია თავს, მათი კანვასური თუ იუესაიდური პროპაგანდა, სიძულვილი თუ დაკანონებული ძალადობა, ლამისაა, მთლიანად ევროკავშირთან გაიგივდეს, ხოლო ამ ტრაგიკულ მოცემულობაში სწორედ ევროკავშირის ქვეყნების ზოგიერთ პოლიტიკოსსა და დიპლომატს მიუძღვის პირდაპირი წვლილი. მივიღეთ პარადოქსი, რომ დღეს ქუჩაში ძალადობა ევროკავშირის დროშაში გახვეული დადის. ასეთ ვითარებაში გამარჯვების ფორმულაა ერთობა, სიმტკიცე და რწმენა შენი ქვეყნის, შენი ხალხის, შენი ისტორიის. ჩვენ ეს გადამწყვეტი ბრძოლა მოვიგეთ!**

## სიბრძნე ისაა, გზა მანამდე დაინახო, ვიდრე ურემი გადაბრუნდება!

**ჩვენ ეს ბრძოლა მოვიგეთ!**

**„2024 წელს ჩვენ გავიარეთ საარჩევნო კამპანია უპრეცედენტო უცხოური ჩარევის ფონზე. ჩვენ გვითხრეს, რომ ეს იქნებოდა ფინალური ბრძოლა, ყველა ერთის წინააღმდეგ. ეს იქნებოდა რეფერენდუმი. კოლექტიური „ნაცმოძრაობა“, მსხვილი თუ წვრილი „ენჯეოები“, აქტივისტი მედიამუშაკები, დესტრუქციული, პარტიული მედიაარხები, ტრეინინგგავლილი მზა დემონსტრანტები, უცხოელი დონორები და დიპლომატები – ყველანი ერთად წარმოდგნენ რეფერენდუმად მონათლულ არჩევნებზე, მიმავალი და ყავლგასული პრეზიდენტით სათავეში.**

**ცალ ფეხზე დგომის, უცხო ინტერესების შესატყვისი, ევროპერსპექტივის ქაღალდში შეფუთული დღის წესრიგი დაუპირისპირდა ნამდვილ, ქართულ, ეროვნულ ინტერესებზე აგებულ მშვიდობისა და კეთილდღეობის დღის წესრიგს, რომელსაც „ქართული ოცნება“ განასახიერებს. საბედნიეროდ, ისტორიის გაკვეთილებისა და ღრმა ცივილიზაციური მეხსიერების მქონე ქართველმა ერმა, ამომრჩეველთა სრულმა უმრავლესობამ ზუსტად დაინახა, თუ სად იყო ჭეშმარიტება, სიმართლე და ქვეყნის ნამდვილი ინტერესი.**

**დაინახა და სწორი არჩევანიც გააკეთა. ძალა ერთობაშია, სიკეთე ამთლიანებს, ბოროტი კი ყოფს. ისტორიულად საქართველოს დამარცხების ფორმულა სწორედ ეს იყო, ჩვენი დაქუცმაცება და გათითოკაცება. ეს პოლარიზაცია ამჯერადაც უცხოეთმა მოგვახვია თავს, მათი კანვასური თუ იუესაიდური პროპაგანდა, სიძულვილი თუ დაკანონებული ძალადობა, ლამისაა, მთლიანად ევროკავშირთან გაიგივდეს, ხოლო ამ ტრაგიკულ მოცემულობაში სწორედ ევროკავშირის ქვეყნების ზოგიერთ პოლიტიკოსსა და დიპლომატს მიუძღვის პირდაპირი წვლილი. მივიღეთ პარადოქსი, რომ დღეს ქუჩაში ძალადობა ევროკავშირის დროშაში გახვეული დადის. ასეთ ვითარებაში გამარჯვების ფორმულაა ერთობა, სიმტკიცე და რწმენა შენი ქვეყნის, შენი ხალხის, შენი ისტორიის.**

**ჩვენ ეს გადამწყვეტი ბრძოლა მოვიგეთ. მეათე მოწვევის პარლამენტი იქცა შემობრუნების წერტილად, როდესაც ჩვენ ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედად ეროვნული ინტერესი ვაქციეთ, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების წესად – სიბრძნით მოქმედება. სიბრძნე კი ისაა, გზა მანამდე დაინახო, ვიდრე ურემი გადაბრუნდება. სწორედ ეს შევძელით ჩვენ.**

14.05.2025

# საგანგაშო არაფერია




**კატარის დედაქალაქ დოჰაში მუნდიალ – 2027-ის შესარჩევი ეტაპის წილისყრა მოეწყო, რომლის შედეგადაც საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების მეტოქეთა ვინაობა გაირკვა.**

დამდეგ ტურნირში **ალექსანდრ ჯიკიჩის** გაწვრთნილი გუნდი ევროპის ზონის „ა“ ჯგუფში მოხვდა ესპანეთთან (უკვე მერამდენედ?!), პრესაკვალიფიკაციო რაუნდის გამარჯვებულსა და ამავე ციკლის მეორეადგილოსანთან ერთად.

მომავალი ფორუმის პრესაკვალიფიკაციო სტადია ევროპის ზონაში წლეულს აგვისტოში გაიმართება, ძირითადი ეტაპი კი ნოემბერში დაიწყება. მსოფლიოს ჩემპიონატის მთავარ შესარჩევ ეტაპზე 32 ნაკრები ითამაშებს, მათ შორის 12 – ევროპიდან. პრესაკვალიფიკაციო ციკლიდან საქართველოს ნაკრების ჯგუფს სლოვაკეთის, შვეიცარიისა და უკრაინის ჯგუფის გამარჯვებული დაემატება, კიდევ 1 ადგილს დანია – ნორვეგია – ხორვატეთს შორის უძლიერესი მოიპოვებს.

მუნდიალის შესარჩევი ციკლის სტარტზე 32 ნაკრები 8 ოთხგუნდა ჯგუფში გადანაწილდება, რა დროსაც თითოეული კვარტეტის ყველა წევრი ერთმანეთს შინ და სტუმრად შეხვდება, შემდეგ ეტაპზე კი 3-3 საუკეთესო გავა.

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე 4 ახალ ჯგუფში გადანაწილებული 24 ნაკრები ითამაშებს და გუნდებს პირველ რაუნდში ნაჩვენები შედეგები გადაჰყვებათ, ხოლო მეორე სტადიაზე მხოლოდ იმ მეტოქეებს შეხვდებიან, ვისთანაც მანამდე არ უბრძოლიათ. ეს მატჩები გაისად აგვისტოსა და ნოემბერში, აგრეთვე 2027 წლის თებერვალში გაიმართება, ხოლო საბოლოოდ ჯგუფებიდან 3-3 უძლიერესი მუნდიალზე გაემგზავრება, რომელიც 2027 წლის 27 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით კატარში ჩატარდება.

**შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე 2023 წელს იაპონიაში გვქონდა დებიუტი და ილიას ზუროსმა გუნდი მეორე ჯგუფურ ეტაპზე გაყვანით პლანეტის 16 რჩეულში დაამკვიდრა, კატარმა კი უკვე უმასპინძლა საფეხბურთო და სახელბურთო მუნდიალებს.**

# უკვე 3 ოქრო!



**ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში მიმდინარე პარაძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატზე ზვიად გოგოჭურმა (J2 კატეგორია, -95 კგ) ფინალში უზბეკი დავურხონ კარომატოვი დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა. გოგოჭური ერთადერთი ქართველი პარასპორტსმენია, ვისაც პარალიმპიური თამაშები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები აქვს მოგებული.**

მსოფლიო პირველობაზე ბრინჯაოს მედლებს იმავე დღეს **ზურაბ ზურაბიანი** (J2 კატეგორია, -64 კგ) და **ლაშა ყიზილაშვილი** (J2 კატეგორია, -95 კგ) დაეუფლნენ, ხოლო გუშინ მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოს ნაკრების წევრები **გიორგი ქალდანი** (J2 კატეგორია, -70 კგ) და **საბა ბაღდავაძე** (J1 კატეგორია, -81 კგ) გახდნენ.

# ძმა ძმისთვისაო...

**ხშირად გვესმენია, რომ თორნიკე კვარაცხელია ხვიჩას არაფრით ჩამოუვარდება და ადვილი შესაძლებელია, რომ მალე უფროსი ძმაც დაჩრდილოსო...**



ამ საქმეში პროგნოზის გაკეთება უმადურობას ჰგავს, მაგრამ უმცროსი კვარა რომ თანდათან უმატებს, ფაქტია.



ამჯერად მან თავი ერევანში გამართულ უეფას განვითარების თასის 15-წლამდელთა გათამაშებაში გამოიჩინა, სადაც **გიორგი ჩიტაურის** გაწვრთნილმა მოზარდმა ჯვაროსნებმა პირველი ადგილიც დაიკავეს და ინდივიდუალური პრიზებიც დაიმსახურეს: **საუკეთესო მოთამაშე** – თორნიკე კვარაცხელია, **საუკეთესო ბომბარდირი** – ნიკოლოზ დონდუა (4 გოლი).

რაც შეეხება ტურნირზე ჩატარებულ მატჩებს, დავამარცხეთ ლატვია (პენალტებით) და უზბეკეთი – 3:0, ხოლო მასპინძელ სომხებთან პენალტებით წავაგეთ.

# ზღაპარი გრძელდება



**24 მაისს კარდიფში რაგბის ჩემპიონთა თასის (Inventec Champions Cup) ფინალური შეხვედრა გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს ბრიტანული „ნორზჰემპტონი“ და ფრანგული „ბორდო“ დაუპირისპირდებიან. ამ მატჩს ქართველი არბიტრი ნიკა ამაშუკელი განსჯის.**

ამას გარდა, ამაშუკელი მიწვეულია ბრიტანელი და ირლანდიელი „ლომების“ ტურნეზე, რომელშიც 20 ივნისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით 38 თამაში ჩატარდება, რომელთაგან 27 ტესტ-მატჩი იქნება. 20 ივნისს ბრიტანელი და ირლანდიელი „ლომები“ არგენტინას დუბლინში ეთამაშებიან და ამაშუკელი პირველი ასისტენტი იქნება.

5 ივლისს ქართველი რეფერი „ოლ ბლექსისა“ და შოტლანდიის თამაშს განსჯის; 9, 12 და 19 ივლისს ის „ლომების“ სამ შეხვედრაში (19 ივლისს ავსტრალიასთან) ასისტენტად იმუშავებს; 22 ივლისს ბრიტანელი და ირლანდიელი „ლომებისა“ და წყნარი ოკეანის ნაკრების თამაშს მოემსახურება, 26 ივლისს კი ავსტრალიისა და „ლომების“ მეორე ტესტ-მატჩში კვლავ ასისტენტი იქნება.

ზაფხულის ტესტები 2 აგვისტოს ავსტრალიისა და „ლომების“ გადამწყვეტი მატჩით დასრულდება და ამ შეხვედრის მთავარი მსაჯი ნიკა ამაშუკელია. აღსანიშნავია, რომ 2 აგვისტოს გასამართი მატჩი 30 წლის ამაშუკელისთვის 30-ე ტესტ-მატჩი იქნება სამსაჯო კარიერაში.

# ნეტავ არიან...

**უკვე ოფიციალურად დადასტურებულია, რომ UFC 317-ზე მსუბუქი დივიზიონის საჩემპიონო ქამრისთვის ილია თოფურია ჩარლზ ოლივეირას წინააღმდეგ იბრძოლებს. აღნიშნული ორთაბრძოლის შესახებ ინფორმაცია ორგანიზაციის პრეზიდენტმა დეინა უაითმა გაავრცელა.**

ბრძოლის ჩანიშვნის შემდეგ პირველი კომენტარი გააკეთა ჩარლზ ოლივეირამ. მისი თქმით, ის მზად არის და საჩემპიონო ქამარს დააბრუნებს იმ ადგილას, რომელიც არ უნდა დაეტოვებინა.

**„ვვარჯიშობდი, როდესაც ყველამ ყვირილი დაიწყო. მაშინვე დავასრულე ვარჯიში, ტელეფონი ხელში ავიღე და გავიგე, რომ ილია თოფურიასთან უნდა ვიჩხუბო. ჩვენ მზად ვართ. საჩემპიონო ქამარი დაბრუნდება იმ ადგილას, რომელიც არ უნდა დაეტოვებინა. ილია თოფურია ძლიერი და რთული მოწინააღმდეგეა, მაგრამ მოწინააღმდეგეზე ორიენტირებული არ ვარ, ვიცი რა ძალაც მაქვს ხელებში და რისი გაკეთება შემიძლია. პირობა მაქვს შესასრულებელი და ქამარს აუცილებლად დავიბრუნებ“,** – განაცხადა ოლივეირამ.

ცნობისთვის, ილია თოფურიასა და ჩარლზ ოლივეირას ორთაბრძოლა 28 ივნისს UFC 317-ზე ლას ვეგასში გაიმართება.



# ბედისწერის ნებიერა



**მართალია, ჯერ მხოლოდ 29 წლისაა, მაგრამ მისი ბიოგრაფია სათავგადასავლო ჟანრის მხატვრული ნაწარმოები გეგონებათ და დიახაც, ცნობილი გამოთქმისა არ იყოს, ზღაპრის ბოლო კეთილი უნდა იყოს.**

საუბარია საქართველოს პარატაეკვანდოს ნაკრების ერთ-ერთ ლიდერზე, ამასწინანდელი ჩინური პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის ბრინჯაოს მედალოსანზე **ლია ჩაჩიბაიაზე,** რომელიც თინეიჯერი გახლდათ, რუსთავში მეორედ რომ დაიბადა და ადამიანისთვის მთავარი-სიცოცხლისთვის ბრძოლა მოიგო.

მაშ ასე: 2012 წლის 29 მაისი. ცხრასართულიანი კორპუსის სახურავიდან გადმოვარდნილ თავისუფლების მოყვარულ მეამბოხე სულის არასრულწლოვან გოგონას სისხლი ეწამლება, განგრენა ეწყება და მარჯვენა ხელის ამპუტაციას დედაქალაქის იაშვილის სახელობის კლინიკაში უკეთებენ. ამიტომაც ამბობს, რომ სიკვდილის დამმარცხებელს უფლება არ აქვს წარსულს მისტიროდეს და ღმერთის წინაშე ვალდებულია ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოს, რასაც, სხვათა შორის, პირნათლად ახერხებს.

ახალ ეტაპს საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ იწყებს, როცა მეცხრეკლასელი ქალიშვილი სასწავლებლად წალენჯიხის N1 საჯარო სკოლაში გადადის. მოვლენებს წინ გავუსწრებთ და გეტყვით, რომ შარშან წალენჯიხის საპატიო მოქალაქედ დაასახელეს.

მალევე პოპულარულ პროექტ ნიჭიერის მონაწილემ მეწყვილესთან ერთად თავისივე დადგმული ცეკვით ნახევარფინალამდე მიაღწია და ყველას დაუმტკიცა, რომ უკიდურობა სირცხვილი არ იყო.

რაც შეეხება სპორტს, იგი ცურვით დააჭაშნიკა და ორჯერად ვარჯიშებს უმადლის, ჯერ ევროპის ჩემპიონატზე რომ მოსინჯა ძალები, ხოლო კვალიფიკაციაგავლილმა-2016 წლის პარაოლიმპიადაზე.

როგორც უამრავმა თანატოლმა, იმედგაცრუებაც იგემა, როცა ვერც უმაღლესში ჩააბარა, რადგან მის ოჯახს განათლების საფასურის გადახდა არ შეეძლო, და ვერც სამსახური იშოვა, ვინაიდან ეგონათ, რომ შშმ პირი შრომისუუნარო იყო. საბედნიეროდ, შეუპოვრობა დაუფასდა და სამართალმცოდნეობის კოლეჯის კურსდამთავრებულის სახით ექსპერტ-კრიმინალისტთა რიგები შეავსო, შარშან კი სპორტის უნივერსიტეტში ჩააბარა და მწვრთნელობასაც აპირებს.

სახლში 2 წლით უსაქმოდ ჯდომასა და ხელსაქმით გატაცებას მძივებისა და სამაჯურების გაკეთება მოჰყვა. სწორედ მაშინ გაისმა ზარი ტაეკვანდოს ფედერაციიდან-ოლიმპიური სახეობა გავხდით და მოდი, იქნებ სცადოო. ჯერ გაუჭირდა, მაგრამ მერე თავს ძალა დაატანა და გაუმართლა კიდეც. დილის 10 საათიდან 4 საათამდე 2018 წლიდან ყოველდღიურად ვარჯიშობს, სწორად იკვებება და ადრე იძინებს. აი, სად გამოადგა, იმ უბედურ შემთხვევამდე მოქნილობითა და აქტიურობით რომ გამოირჩეოდა, ხოლო 19 წლისა საცხოვრებლად მარტო გადასული ყველაფრის დამოუკიდებლად გაკეთებას რომ ცდილობდა და მარტო იხდიდი ბინის ქირას და კომუნალურებს.

23 მაისს ლია ჩაჩიბაია უკვე ბრაზილიაში დაიცავს სამშობლოს სპორტულ ღირსებას, სადაც ტაეკვანდოს ვაჟთა ეროვნული ნაკრების კაპიტნის რჩევების გათვალისწინებით მორიგ წარმატებას შეუტევს. დავძენთ, რომ ყოფილი სადედამთილოს მიერ ინვალიდობის გამო დაწუნებულმა სანატრელმა სარძლომ ბექას სახით ჭეშმარიტი სიყვარული იპოვა...

# 18 წლის ინგლისელი „ნარკობარონი“ შეშინებულია!




**15 მაისის ბრიტანული მასმედიის ერთ-ერთ თემას საქართველოში ინგლისელი მოქალაქის, 18 წლის გოგონას დაკავება წარმოადგენს, ქვეყნის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შემოტანის მცდელობასთან დაკავშირებით.**

**სტატიები გამოქვეყნდა დიდი ბრიტანეთის თითქმის ყველა წამყვან გაზეთში. ინფორმაციები გადაიცა ტელეარხებით და რადიოსადგურებით. მასალების შინაარსი თითქმის ერთნაირია და ძირითადად ეყრდნობა ქართულ წყაროებს.**

**გთავაზობთ „ბიბისის“ (BBC) მიერ მომზადებულ მასალას სათაურით „ბრიტანელი თინეიჯერი საქართველოში ნარკოტიკებთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის გამო დააკავეს“ (ავტორები – ტომ ბერჯესი და რაიჰან დემიტრი).**

**18 წლის ბელა მეი ქოლი (Bella May Culley), რომელიც ტაილანდში უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, საქართველოში გამოჩნდა, მაგრამ სისხლის სამართლის ბრალდებით – მას ქვეყანაში დიდი რაოდენობით ნარკოტიკის – მარიხუანას უკანონოდ შემოტანაში ადანაშაულებენ.**

საქართველოს პოლიციის განცხადებით, თუ ბელა ქოლი დამნაშავედ იქნება შერაცხილი, მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ექვმიტანილის ადვოკატის თქმით, ბელა ქოლის არცერთი სიტყვა არ უთქვამს წინასწარი პატიმრობის სასჯელის გამოტანისას, რომლის თანახმად, იგი რუსთავის ქალთა კოლონიაში იქნა მოთავსებული. ია თოდუამ, რომელიც სახელმწიფომ ბელა ქოლის წარმომადგენლად (ადვოკატად) დანიშნა, დაადასტურა, რომ იგი შაბათს საქართველოში ტაილანდიდან ჩამოვიდა და დაკავების შემდეგ, სამშაბათამდე წინასწარ პატიმრობაში იყო.

ია თოდუას თქმით, ბელა ქოლის დაცვის უზრუნველყოფას სხვა ადვოკატებიც ცდილობენ და ამიტომ ბრიტანეთის საკონსულო სამსახურს მათთან შეხვედრა აქვს დაგეგმილი.



**როგორც ქალბატონმა ია თოდუამ აღნიშნა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ექვმიტანილი თითქმის გავშვია, იგი შეშინებულია და როცა მას დანაშაულის არსი განუმარტეს, მეტყველების უნარი დაკარგა. ამჟამად ექვმიტანილი დუმილის უფლებას იყენებს“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა, რომ უწყება „დახმარებას უწევს ბრიტანელი გოგონას ოჯახის წევრებს [ქვეყანაში შემოსასვლელად]“. საქართველოს პოლიციის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბელა ქოლის დაკავებისას მისი ჩანთიდან ამოიღეს 12 კილოგრამამდე (26 გირვანქამდე) მარიხუანა და 2 კილოგრამზე (4,4 გირვანქაზე) მეტი ჰაშიში.**

პოლიციის პრესმდივნის განცხადებით, ბელა ქოლის დაკავება რამდენიმე უწყების ერთობლივი ოპერაციის შედეგად განხორციელდა. ორშაბათს დაკავებულ ექვმიტანილს ბრალდება წაუყენეს.

**თავის მხრივ ბრიტანელმა სამართალდამცვლებმა, კერძოდ, კლივლენდის პოლიციამ დაადასტურა, რომ 18 წლის ბილინჰემელი გოგონა საქართველოში იქნა დაკავებული „ნარკოდანაშაულში ექვმიტანილის“ სტატუსით და ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.**



მოამზადა
სიმონ კილაძემ

# სამეგრელოს პოლიციამ 138 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკი ამოიღო

**შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) და საგამოძიებო სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით 1982 წელს დაბადებული გ.ჩ. დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.**

**დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა ბრალდებული პირადი ჩხრეკის შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით 138 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „მეთადონი“-ს შემცველი გრანულები და ფხვიერი მასა ნივთმტკიცებად ამოიღეს.**

**გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.**

# ოჰ, ეს თაღლითური ქოლცენტრები!!!

## დუშეთში ჩინეთის 14 მოქალაქე დააკავეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-4 ნაწილით დაიწყეს.**

„სამართალდამცველების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, ერთ-ერთ სასტუმროში სავარაუდოდ მოწყობილი იყო ე.წ. ქოლცენტრი.

პოლიციამ ადგილზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ათეულობით მობილური ტელეფონი და პერსონალური კომპიუტერი, რომელთა მეშვეობითაც, სავარაუდოდ, უკანონო ფინანსური საქმიანობა ხორციელდებოდა, ნივთმტკიცებად ამოიღო. სასტუმროში მყოფი პირების გადამოწმებისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან კოორდინაციით, გამოვლენილ იქნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 14 მოქალაქე, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ კანონიერი საფუძვლის გარეშე.



იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ სასტუმროში, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებამდე ცოტა ხნით ადრე იყო ხანძარი, რომელიც პოლიციის მისვლის დროს უკვე ლიკვიდირებული იყო, სასტუმროში მყოფმა სხვა პირებმა ტერიტორია დატოვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება ორგანიზებული ჯგუფის მიერ, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ განხორციელებული სავარაუდო თაღლითობის ფაქტზე გრძელდება.

## ვულოცავთ!

# გიორგი შოთას ძე ქებურია 70



ღირსეულ პიროვნებას, დამსახურებულ კაცს, ჩემს გამორჩეულ მეგობარს, ბატონ გოგის (გიორგის) ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად!

სიყვარულით და პატივისცემით
თენგიზ ქავთარაძე

# პრემიერა დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის თეატრში

**საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, დმანისის ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის თეატრისა და თავისუფალი თეატრის ერთობლივი სპექტაკლის – „ძაღლის გულის“ პრემიერა გაიმართა.**



პრემიერას, რომელიც თავისუფალ თეატრში შედგა, საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო. რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ სპექტაკლი „ძაღლის გული“ მიხეილ ბულგაკოვის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით დადგა. სცენური ვერსიის ავტორია ნინია სადღობელაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ დმანისისა და თავისუფალი თეატრის მსახიობები: თიკო კორძაძე, კახა მიქიაშვილი, გიორგი გიორგიძე, ლიზა რუხაძე, მამუკა მუმლაძე, ოთო ლასხიშვილი. მხატვარია თეო კუხიანიძე, ქორეოგრაფი – გიორგი ბარბაქაძე, მუსიკალური გაფორმება ანი მურღულიას ეკუთვნის.

# ფოთის მერიამ ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიატები გამოავლინა

**„ფოთის მერიამ 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიატები გამოავლინა,“** – ამის შესახებ ინფორმაციას ფოთის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიატი 35 ახალგაზრდა გახდა.

**„ტრადიციულად, სტიპენდია გაიცემა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი და მეორე საფეხურის ფოთელი სტუდენტებისათვის. ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიატი 30 ფოთელი სტუდენტი გახდა.**



**ასევე, სტიპენდია გაიცემა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი საფეხურის პროგრამების სტუდენტებისათვის. პროგრამის ფარგლებში ნიკო ნიკოლაძის სახელობის სტიპენდიატი 5 სტუდენტი გახდა. სასტიპენდიო პროგრამის თანახმად, გაორმაგებული ფულადი ჯილდო გადაეცემათ კონკურსში გამარჯვებულ 100 ქულის მქონე სტუდენტებს.**

**წელს 100 ქულის მქონე სამი სტუდენტია კონკურსის გამარჯვებულთა პირველ სამეულში. მუნიციპალური სასტიპენდიო პროგრამა სემესტრული ხასიათისაა. დაფინანსება გაიცემა წელიწადში 2-ჯერ – გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრის შედეგების საფუძველზე.**



# საშა გველესიანის „დიდი დათვის“ წარდგინება

16 მაისს, 19:00 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის II კორპუსში, თეატრ „მოდი ნახეს“ სცენაზე, გაიმართება საშა გველესიანის წიგნის – „დიდი დათვის“ პრეზენტაცია.

ორგანიზატორების ინფორმაციით, მონაწილეობას მიიღებენ: **ანსამბლი „გრემი“, „გეპეის კაპელა“, გაგა გომართელი, მაია მიქაია, მარინა თექთუმანიძე, ლია მეტრეველი, ედუარდ უგულავა, ზაზა სირაძე, ნინო ჯაფარიძე, ანა ტიკარაძე, მერი ტიკარაძე, დათო ილურიძე, დიმა მაჭავარიანი, აკაკი გაბრიჭიძე, სალომეა ლომინაძე, ხვიჩა მაღლაკელიძე, კახა შალამბერიძე, მამუკა ესაძე, სალომე რამიშვილი, ბექა რამიშვილი, კატო ღონღაძე** და სხვ.



# „თეატრალური სამხატვრო რევოლუციის“ აქტიური მონაწილე

## ალექსანდრე შერვაშიძის რეტროსპექტული გამოფენა

**18 მაისს, 17:00 საათზე, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეაში მხატვრის, სცენოგრაფის, ხელოვნების კრიტიკოსისა და აფხაზეთის მთავართა – შერვაშიძეების საგვარეულოს შთამომავლის ალექსანდრე შერვაშიძის რეტროსპექტული გამოფენა გაიხსნება.**

ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ფეოდოსიაში დაბადებული, გადასახლებაგამოვლილი, ქართველ-აფხაზი არისტოკრატების ოჯახის წარმომადგენლის – ალექსანდრე შერვაშიძის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა ჩამოყალიბდა და განვითარდა რუსეთისა და ევროპის კულტურულ ცენტრებში. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

გამოფენა ასახავს ალექსანდრე შერვაშიძის – მხატვართა გაერთიანება Мир искусства-ს საპატიო თავმჯდომარისა და პარიზის მხატვართა საზოგადოების წევრის შემოქმედებით გზას. 1909 წლიდან ის საერთაშორისო გამოფენების აღიარებული მონაწილე გახდა. მან შექმნა უნიკალური სახვითი ენა, რომელიც აერთიანებდა ქართულ, რუსულ და ევროპულ მხატვრულ ტრადიციებს.




**გამოფენაზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ა. შერვაშიძის საქმიანობას სცენოგრაფიასა და კოსტიუმების დიზაინის სფეროში, მის თანამშრომლობას დიდ რეჟისორ ვსევოლოდ მეიერხოლდსა და პეტერბურგის საიმპერატორო თეატრთან, მოგვიანებით კი – სერგეი დიაგილევის ლეგენდარულ რუსულ ბალეტთან. ა. შერვაშიძის სცენოგრაფიული ნამუშევრები (სპექტაკლები „ტრისტანი და იზოლდა“, „მასხარა ტანტრისი“, „პრომეთე“, „შოთა რუსთაველი“ და სხვ.) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადრეული მოდერნისტული თეატრისა და ბალეტის გამომსახველობითი ენის ჩამოყალიბებაში.**

გამოფენაზე აგრეთვე წარმოდგენილია ალექსანდრე შერვაშიძის მიერ შესრულებული სცენოგრაფიული და კოსტიუმების ესკიზები, ფერწერული ნამუშევრები, ილუსტრაციები, მისი პირადი არქივის დოკუმენტები, ფოტომასალა და აფიშები, რომლებიც ასახავს მხატვრის ნაყოფიერ და წარმატებულ საქმიანობას ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში, მადრიდსა და მონტე-კარლოში.

1958 წელს ა. შერვაშიძის მიერ საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და სოხუმის სურათების გალერეისთვის ნამუშევრების გადაცემამ ნათლად წარმოაჩინა ხელოვანის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, რაც, იმავდროულად, საქართველოში მისი სიმბოლური დაბრუნებაც იყო.

სერჟ ლიფარის შეფასებით, ალექსანდრე შერვაშიძე იყო სერგეი დიაგილევის რუსული ბალეტის მხატვრული იდეების სულისჩამდგმელი, დასავლეთში თეატრალურ-სამხატვრო რევოლუციის აქტიური მონაწილე.

**ექსპოზიციაზე წარმოდგენილია შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის კოლექციებიდან შერჩეული 250 ექსპონატი.**

**პროექტი განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით“, – აღნიშნულია ინფორმაციაში. გამოფენა 16 ივნისამდე გასტანს.**



# ისწავლეთ აფხაზეთის ისტორია

**საქართველოს მასშტაბით, 100-ზე მეტ საჯარო სკოლაში მედიაპროექტი „გაკვეთილი აფხაზეთი“ მიმდინარეობს.**

ინიციატივის ფარგლებში, დაგეგმილია 5 000-მდე მოსწავლისთვის სპეციალურად ადაპტირებული ვიდეომასალის ჩვენება, რომელიც აფხაზეთის ისტორიულ განვითარებას, 1992-1993 წლის შეიარაღებული კონფლიქტის მნიშვნელოვან ეპიზოდებს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალურობას, კონფლიქტთან დაკავშირებული გმირების ისტორიებს ეძღვნება. ერთ-ერთ გაკვეთილს აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი დაესწრო.

# დაუვიწყარი ღამე მწერალთა სახლში

**18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, საქართველოს მწერალთა სახლში, „ღამე მუზეუმში“ გაიმართება.**

მწერალთა სახლის ინფორმაციით, დავით სარაჯიშვილის მემორიალური და რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმები 18 მაისს, 19:00 საათზე გაიღება და გვიან ღამემდე უმასპინძლებს ვიზიტორებს.




**მწერალთა სახლის ისტორიულ შენობაში, ღამის შუქებით გაფერადებულ აივნებსა და ტერასაზე გაიმართება თეატრალიზებული წარმოდგენა „ჩვენ – ცისფერი ყანწები“, გათამაშდება სპექტაკლი იუნკერთა თავგანწირულ ბრძოლაზე – „ისტორიის გაკვეთილი“; მუზეუმის გიდები გაგიძღვებიან ღამეულ სამუზეუმო მარშრუტებზე, მოგითხრობენ რეპრესირებული ქალების ისტორიებს.**

**წლევანდელი წელი ტიციან ტაბიძის საიუბილეო წელია. ღონისძიების ერთ-ერთი მთავარი თემატიკაა ტიციან ტაბიძის პოეზია.**

# საპატიო „ოქროს პალმის რტო“ ლეგენდარულ დე ნიროს...

**საფრანგეთში კანის 78-ე კინოფესტივალი გაიხსნა, რომელზეც მსახიობ რობერტ დე ნიროს საპატიო „ოქროს პალმის რტო“ მიიღო. ჯილდო მას ლეონარდო დიკაპრიომ გადასცა.**

ჯილდო დე ნიროს მსოფლიოს კინემატოგრაფის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის მიანიჭეს. სცენაზე 81 წლის მსახიობმა აღნიშნა, რომ კანის კინოფესტივალი აერთიანებს მთხრობელებს, რეჟისორებს, თაყვანისმცემლებსა და მეგობრებს. **„ეს სახლში დაბრუნებასავითაა“**, – დასძინა მან.

მსახიობმა ასევე გააკრიტიკა აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც ამერიკის საზღვარგარეთ წარმოებულ ყველა ფილმზე ტარიფების დაწესების ინიციატივით გამოვიდა. დე ნიროს თქმით, ეს მიუღებელია. კანის 78-ე კინოფესტივალი 13-24 მაისს გაიმართება. ჟიურის წელს ფრანგი მსახიობი ჟიულეტ ბინოში ხელმძღვანელობს.



# რეჟისორი რობერტ ბენტონი გარდაიცვალა



**ცნობილი ამერიკელი რეჟისორი და სცენარისტი რობერტ ბენტონი 92 წლისა საკუთარ სახლში გარდაიცვალა.**

ბენტონმა გადაიღო ისეთი ფილმები, როგორებიცაა „კრამერი კრამერის წინააღმდეგ“, „ადგილები გულში“. იგი იყო „ბონის და კლაიდისა“ და „სუპერმენის“ სცენარისტი. მის ნამუშევრებს 3 „ოსკარი“ აქვს მიღებული.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 19 მაისს**